დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ნესტან სიხარულიძე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები: ვარდენ ნიქაბაძე-ზოდაგი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ირმა შალიკიანი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ჯიმშიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მარიამ კუჭუხიძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ეთერ ქუთათელაძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

თეა ხუროშვილი- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნატო კვეტენაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსექსპერტი

ირმა შველიძე- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ალექსანდრე ჩახნაშვილი- სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ცირეკიძე - დაწყებითი განათლების საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულიბის შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239403917

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიხა
იურიდიული მისამართი	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიხა
ფაქტობრივი მისამართი	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიხა
საფოსტო ინდექსი	4000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Chikha@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577942272

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერიდა თარიღი)	ბრძანება # MES874299 13/07/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 14-15აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლოპროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიხა

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიხა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო X-XII კლასები	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიხა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე"თიმსის"სივრცეში ჯგუფისთვის შეიქმნა ვირტუალური კლასი, სადაც ექსპერტებისთვის გაზიარებული იქნა , როგორც სკოლის თვითშეფასების განაცხადი, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად, ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ონლაინ შეხვედრა დაიგეგმა ორივე სამუშაო დღეს. პირველ დღეს გაიმართა მცირე გაცნობითი შეხვედრა ყველა საგნობრივ ჯგუფთან, განხილული იქნა კურიკულუმის შემუშავებისა და სხვა ზოგადი საკითხები, მეორე სამუშაო დღეს კი ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური პასუხები ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ვიზიტის პერიოდში ადგილზე პედაგოგებთან უშუალო შეხვედრის დროს განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო, ლაბორატორიები და გაესაუბრასაგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

ვიზიტის თითოეული დღის ბოლოს ექსპერტებმა შეაჯამეს და ინფორმაცია მიაწოდეს სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინაავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის ეზოში შესვლისთანავე იგრძნობა გარემოზე ზრუნვა. სკოლა მწვანეშია ჩაფლული. როგორც ეზო, ისე სკოლის მთელი სივრცე სავსეა ყვავილებით. დერეფნებში გამოფენილია მოსწავლეთა ხელნაკეთი ნივთები, რაც სასიამოვნო სანახავია. სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს პროფესიულ კოლეჯ "იბერიასთან". კოლეჯის პედაგოგები ადგილზე, სკოლაში მუშაობენ გაწერილი გრაფიკით. მოსწავლეები ეუფლებიან პროფესიას. პროფესიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის მაგალითები უხვადაა წარმოდგენილი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულიდა ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესებისუსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები დაინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთაზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -400-	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა **საბაზო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა **საშუალო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორესტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N... 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე	• სკოლამ უზრუნველყოს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის

	ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	წარმოდგენა გაცემული შესამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ • სკოლამ უზრუნველყოს დასკვნის წასრმოდგენა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ .

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა

ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობ სსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	სკოლას მიეცა რჩევა, მეტად ფუნქციური გახადოს დისციპლინური კომიტეტის მუშაობა.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებოსიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რჩევა, გააფორმოს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი.		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.1	კურიკულუმის მეთოდოლოგია შემუშავების იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის,შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	სკოლას მიეცა რჩევა: სამივე საფეხურზე მეთოდოლოგიაში დააკონკრეტოს აქტივობები, მათზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს(გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).	სკოლას მიეცა რჩევა: სამივე საფეხურზე კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციოს აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვროს თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.
ინდიკატორი N 2.1.2.3.	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	სკოლას მიეცა რჩევა : სამივე საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზოს მათზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო დაპიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზგემთან. მასში ხაზგასმულია ზოგადი განათლების მიზნებისშესაბამისი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
2. სკოლა თავისი მისიით აშკარად გამოხატავს საკუთარ როლს, სკოლის მისიაში ხაზგასმულია პროფორიენტაციის მიმართულებით მხარდაჭერა, რაც გამორჩეულად წარმოაჩენს სკოლის როლს. სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია, თუმცა პროექტის სახით არის წაროდგენილი და ჯერ სკოლას დამტკიცებული არა აქვს. სკოლა მისიასა და ხედვას დაამტკიცებს ახალ სასწავლო წელს.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

3. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობდა სკოლის საზოგადოება. მასში სრულად არის ასახული სკოლის გამორჩეული როლი.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულება გაზიარებულია სკოლის საზოგადოების მიერ. გამოკითხვამ ცხადყო, რომ მის შემუშავებაში მონაწილეობდა მთელი გუნდი. მათ გათავისებული აქვთ ამ დოკუმენტის მნიშვნელობა სკოლის სამომავლო საქმიანობისათვის.
. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

5. ავტორიზაციის განხორციელების მომენტისთვის სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები (პროექტი)საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი, გამოკრული იყო სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე, სკოლის სოციალურ სივრცეში. გასაუბრებაზეაღინიშნა, რომ სკოლა სამინისტროს მხარდაჭერით მუშაობს ვებგვერდის შემუშავებაზე სადაც განთავსდება სკოლასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6 . სკოლის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დაწესებული ტერმინთან, კერძოდ საქართველოსგანათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის # 448 ბრძანებასთან.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულიადასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (პროექტი)
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომავდი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლოსაზოგადოების ჩართვის მექანიზმებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრატეგიული გეგმა (პროექტი) არის შვიდწლიანი. ის ნაწილობრივ ეყრდნობა მისიას და ხედვას. მისიაში სკოლა საკუთარ გამორჩეულობას ხაზს უსვამს პროფესიული განათლების მხარდაჭერით, ამდენად, სტრატეგიული განვითარების გეგმაც ამ მიმართულებით უნდა აიგოს. სკოლა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას დაამტკიცებს ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. სკოლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი დამტკიცებული არ არის.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც არგუმენტირებულად დადასტურებული აქვს, რომ 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული აქვს 2023 წლის 7 სექტემბერს, N 1 სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.

3. სკოლას შექმნილი აქვს ახალი სტრატეგიული გეგმისპროექტი, რომელსაც დაამტკიცებს ახალ სასწავლო წელს. განაცხადში სკოლა აღნიშნავს, რომ ყოველი წლის ბოლოს სკოლა ახორციელებს თვითშეფასებას და ამის შემდეგ გეგმავს ახალ სამოქმედო გეგმას. სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებამ დაადასტურა აღნიშნული, რომ სასწავლო წლის ბოლოს განიხილავენ შედეგებს: წარმატებებსა და გამოწვევებს, რომელსაც ითვალისწინებენ მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ძირითადად, აქცენტი კეთდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. საერთო ჯამში, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება და ახალი სამოქმედო გეგმის პროექტი ცხადყოფს, რომ წლიური სამოქმედო გეგმა პასუხობს სკოლის გამოწვევებს, მაგრამ მას სჭირდება მეტი თავსებადობა სტრატეგიულ გეგმასთან.
ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებული არ არის და დამტკიცდება ახალი სწავლო წლის დასაწყისში.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც არგუმენტირებულად დადასტურებული აქვს, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებული აქვს 2023 წლის 7 სექტემბერს, N1 სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.

4. გასული წლის სამოქმედო გეგმასა და 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტში წარმოდგენილია გეგმის შესრულების გაზომავდი მექანიზმები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. სამოქმედო გეგმის პროექტს სჭირდება მეტი თავსებადობა სტრატეგიული გეგმის პროექტთან. სკოლამგამოთქვა მზაობა, რომ ახალ სამოქმედო გეგმას დაამტკიცებს 8 სექტემბრამდე .

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მტკიცებულებები -1. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

2. 2023-30 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა-პროექტი

3. 2022-23 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში;

4. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა (პროექტი) დანართი N14; N15

დანართი N16

ზეპირი ინტერვიუ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითრების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვისმეთოდოლოგიაში ნათლად არის გაწერილი მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. სკოლას აქვს მონიტორინგის გარკვეული გამოცდილება. მაგრამ დეტალურად გაწერილი მონიტორინგის მექანიზმი წინაწლებში სკოლას არ ჰქონდა.

ახალი, 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა არის პროექტის სახით წარმოდგენილი, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცდება , ამდენად, მონიტორინგს განახორციელებენ ახალი 2023-2024 სასწავლო წლიდან. მონიტორინგის მკაფიო

მექანიზმები მეთოდოლოგიის ახალ დოკუმენტში გაწერილი აქვთ, რაც ქმნის სრულ შთაბეჭდილებას, რომ სკოლა შეძლებს მონიტორინგის განხორციელებას.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლა აღნიშნავს, რომ სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგებზე ყოველი წლის 10 დეკემბერს აკეთებს ზეპირ და წერილობით ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე. რომელშიც ძირთადი აქცენტი გაკეთებულია სასწავლო პროცესზე. სკოლა ანგარიშებს პერიოდულად ათავსებს საინფორმაციო დაფაზე, რათა დაიცვას დაინტერესებული პირებისა და მშობლებისთვის ხელმისაწვდომობა. სკოლას დაწყებული აქვს ვებ გვერდზე მუშაობა, სადაც განათავსებს ყველა საჯარო ინფორმაციას კანონმდებლობის სრული დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დირექტორისა და კათედრების ანგარიშებში ჩანს, რომ სკოლა აკეთებს წინა წლის შეფასებას და შედეგებს ითვალისწინებს მომდევნო წლისათვის. სკოლას დღესდღეობით სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი აქვს მონიტორინგი და შეფასება, რომლის დანერგვასაც დაიწყებს ახალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულიადასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

ახალი 2023-30 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი.

დანართი N14; N15 თვითშეფასების განაცხადი.

ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობსსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები სკოლის თვითშეფასების განაცხადში დეტალურად არის განსაზღვრული. სკოლას აქვს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელიც მიხედვითაც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას. იმავე დოკუმენტში შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა (თანამდებობრივი ინსტრუქციები), რომელიც მოიცავს ისეთ

მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლების ფუნქციები დამატებით გაწერილია ცალკეულ დოკუმენტებშიც, მაგალითად ბიბლიოთეკის დებულებაში.

სკოლაში ფუნქციონირებს:

სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება სამი პედაგოგისგან, სამი მშობლისა და ერთი თვითმმართველობისთავმჯდომარისაგან.

პედაგოგიური საბჭო, რომელიც მოიცავს 7 საგნობრივ კათედრას: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა დატექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკურიაღზრდის და სპორტის, დაწყებითის.

სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის და ბუღალტრისგან.

სკოლის ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, 3 დამლაგებელი, ცეცხლფარეში, 3 დარაჯი. (სკოლას დამატებითჰყავს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური სტატუსის მქონე თანამშრომლები).

დისციპლინური კომიტეტი: რომელიც შედგება ორი მასწავლებლის, ორი მოსწავლის და ორი მშობლისაგან. მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შედის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მანდატური, პედაგოგიური საბჭოს
თავმჯდომარე და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ასევე რესურსცენტრის წარმომადგენელი.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობისდებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2 . სკოლის დოკუმენტებში ჩანს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების და პასუხისგებლობის გადანაწილება. სასკოლოსაზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, ანგარიშვალდებულების სასკოლო სისტემა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. გამონაკლისი სახით შეიძლება ვისაუბროთ დისციპლინური კომიტეტის როლზე, რომელიც იშვიათად ერთვება სასკოლო ცხოვრებაში, სკოლის შინაგანაწესის ისეთი ფორმულირების გამო, რაც განაპირობებს მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის დროს დისციპლინური კომიტეტის ჩართვას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. **სკოლას მიეცა რჩევა,** მეტად ფუნქციური გახადოს დისციპლინური კომიტეტის მუშაობა. მაგალითად, ერთგვაროვანი დარღვევების გამეორების შემთხვევასი, მოსწავლის ქცევა შეაფასოს დისციპლინურმა კომიტეტმა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები

სკოლის შინაგანაწესი

ზეპირი ინტერვიუ

დანართი N02; N17; N18; N19; N20; N21
3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილიპირობების შესაბამისად;

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა თითოეული თანამშრომლისთვის, კანონმდებლობის შესაბამისად, აწარმოებს პირად საქმეებს. სკოლას აქვს ამავე სკოლის დირექტორის მიერ N2-14 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას.

სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. სკოლის ყველა თანამშრომელი ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობას. შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური

სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო. ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ)ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი .

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზი: საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსა და დირექტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №785 2007 წლის 31 აგვისტო), ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტს შეიმუშავებს დირექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. მოცემულ შემთხვევაში დოკუმენტი დაამტკიცა დირექტორმა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც არგუმენტირებულად დადასტურებულია, რომ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი დამტკიცებული აქვს 2023 წლის 7 სექტემბერს, N1 სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.

2 . გასაუბრების დროს გაირკვა , რომ სკოლა გამოკითხვით ადგენს პერსონალის საჭიროებებს და ცდილობს დაეხმაროს პრობლემების დაძლევაში. მასწავლებლები წერენ წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოს გეგმას, სასურველია, მას ჰქონდეს დოკუმენტის სახე. სკოლა ეხმარება, ახალ

პერსონალს სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაციაში, საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სპეციალურ პირს, რომელიც უწევს დახმარებას, რათა მოახდინოს სკოლის საზოგადოებაში ჩართულობა და პირველადი სირთულეების დაძლევა. ასევე კათედრები ეხმარებიან და ხელს უწყობენ ახალბედა მასწავლებელს სწავლა- სწავლების პროცესში. სთავაზობენ საკუთარ გაკვეთილზე დასწრებას, უზიარებენ გამოცდილებას, ერთად გეგმავენ გაკვეთილებს, ესწრებიან გაკვეთილზე და აძლევენ უკუკავშირს, უზიარებენ რესურსებს და თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას ჰყავს კონკურსით შერჩეული ახალი კადრი, შერჩევის პროცესი ნაწარმოებია გამართულად. შერჩეულია საჭიროებაზე მორგებული პიროვნებები შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. ერთ ახალ თანამშრომელს წარმოდგენილი არა აქვს შსს-ს მიერ გასაცემი ყველა საჭირო დოკუმენტი, და წარმოდგენილი აქვს ცნობა, რომ 5 სამუშაო დღეში წარმოადგენს ცნობას უფლების შეჩერების შესახებ.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. გათვალისწინებულია კონკრეტულ პოზიციაზე დასანიშნი პირის კვალიფიკაცია. მაგალითად: სერტიფიცირებული სპეციალური მასწავლებელი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება; ექიმი, რომელსაც აქვს პედიატრის დამადასტურებელი დოკუმენტი და ოჯახის ექიმის კვალიფიკაცია. სკოლა ხელმძღვანელობს წინასწარ შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, რომლებიც წარდგენილია სკოლის მიერ ვებ. გვერდზე pedagogi.ge, ამ მოთხოვნების საფუძველზეხდება კომისიის მიერ განცხადებების გადარჩევა და შესაბამისი პირის დანიშვნა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში ვიზიტის პერიოდში აშკარად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობით და სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. საკონკურსო კომისია, კანონით განსაზღვრული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, ყოველთვის დაკომპლექტებულია სკოლის თანამშრომლებით. პედაგოგიური საბჭოს და კათედრის თითოეული წევრი, თანამშრომლობის პრინციპის დაცვით, ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. თანამშრომლების შეფასების პროცესში აქტიურად არის ჩართული კოლექტიური ორგანო - ხარისხის ჯგუფი. სკოლაშიფართოდაა დანერგილი კრიტიკული მეგობრისა და ურთიერთდასწრების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას ჰყავს სხვადასხვა საგნის 15 წამყვანი მასწავლებელი, რომლებიც სიახლეებს ჯერ საკუთარ კლასებთან გამოცდიან, შემდეგ უზიარებენ გამოცდილებას სხვებს. მასწავლებლები ქმნიან სასწავლო ჯგუფებს და მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის. მასწავლებლების წახალისება და დაჯილდოება სკოლაში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს. სკოლას აქვს ბევრიასეთი გამოცდილება, მაგალითად ხდება “ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში “ მიღებული გამოცდილების გაზიარება სასკოლოსაზოგადოებაში. ასევე, მუნიციპალურ დონეზე ჩატარებულ კონფერენციაზე, სადაც წარსდგნენ სკოლის მათემატიკისა და

ინფორმატიკის მასწავლებლები. მათ შესაბამისი აღიარება და მოწონება დაიმსახურეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

"ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი"დანართიN02, N22; N23; N24; N26; N13

დანართები N18 N27; N28 პერსონალის პირადი საქმე ;
დანართი N29; N30; N15; N31

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმისშესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი. სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის მართვის დებულება და ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მართვის ჯგუფი, რომელიც გაწერილი პერიოდულობით ესწრება

საგაკვეთილო პროცესს და აფასებს მასწავლებელთა საქმიანობას, აძლევს უკუკავშირს, შედეგებს აფორმებს ოქმების სახით. პროფესიული განვითარების საჭიროებათა დასადგენად ავსებენ კითხვარს, ერთად მუშაობენ კათედრებიც, სკოლას აქვს კათედრის პორტფოლიოები. ხარისხის ჯგუფის მუშაობას აქვს სისტემური ხასიათი, დოკუმენტურად აქვთ გაწერილი საერთო მონაცემების ანალიზი. ჩატარებული აქვთ სკოლის პერსონალის საჭიროების კვლევა (სამაგისტრო ნაშრომი). აღრიცხავენ მასწავლებლის პროგრესს, ავტორიზაციის განაცხადში გაწერილი ხარისხის მართვის დეტალური პროცესები დასტურდება სკოლს საქმიანობაში. სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლას არ აქვს, მასწავლებლის გარდა, პერსონალის შეფასების მექანიზმები.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები ავსებენ თვითშეფასების ფორმას, რომლის საფუძველზეც ადგენენ განვითარების გეგმას. მასწავლებლები, გაწერილი გრაფიკის მიხედვით, ესწრებინ ერთმანეთს "კრიტიკული მეგობრის" სტატუსით. აფასებენ პროცესს წერილობითი უკუკავშირის სახით, გეგმავენ პრევენციის გზებს, იხილავენ კომპლექსურ და

შემაჯამებელ დავალებებს, აანალიზებენ და აფასებენ შედეგებს და სახავენ სამომავლო გეგმებს. ამ მუშაობაში კათედრებს კარგადდაეხმარა "ახალი სკოლის მოდელში" მიღებული გამოცილება, ადმინისტრაციის სისტემატური ჩართულობა. დირექცია თავადაც

არის ჩართული დანერგვის პროცესში და პირადი მაგალითით ახალისებს გუნდს. გარდა მასწავლებლებისა, სხვა პერსონალისგანვითარების საჭიროების ამსახველი კვლევა, ან სხვა რაიმე დამდასტურებელი მტკიცებულება ან მექანიზმი სკოლას არ წარმოუდგენია. სკოლას მიეცა რჩევა, გაწეროს დანარჩენი პერსონალის განვითარების მექანიზმი.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

3. სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულნი მესამე თაობის ესგ-ს დანერგვისა და დაწყებითი განათლების პროექტებში . სკოლა მხარდაჭერას უცხადებს პედაგოგებს, თვალნათლივ ჩანს კათედრათა შორის თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება.სკოლას ჰყავს 15 წამყვანი მასწავლებლები. 1 მასწავლებელი ელოდება პორტფოლიოს განხილვას. სკოლას მიაჩნია, რომ მისი პირადი პორტფოლიო არის დამაკმაყოფილებელი. სკოლა ხელს უწყობს არამარტო მასწავლებელთა, არამედ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პროფესიულ ზრდას, ამჟამად სკოლის ბუღალტერი ჩართულია ტრენინგში. ტრენინგი გაიარეს საქმეთა მმართველმა და დირექტორმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა ხელს უწყობს სამუშაო გარემოსთან თანამშრომელთა ინტეგრაციას, რაც დასტურდება სამასწავლებლოს შესაბამისი აღჭურვილობით, თანამშრომლობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით. სკოლა ზრუნავს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციაზე სასკოლო გარემოში. ხორციელდება დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, სკოლა ყველანაირად ხელს უწყობს ადაპტაციაში, გამოყოფს სპეციალურ პირს რომელიც დაეხმარება ახალბედა თანამშრომელს მისთვისდავალებული საქმიანობის განხორციელებაში. მასწავლებლის შემთხვევაში ხდება კათედრებზე შეხვედრები, ერთად იგეგმება გაკვეთილები, ურთიერთდასწრება და აზრთა გაზიარება, რესურსების გაზიარება და დახმარება პირველადი სირთულეების დაძლევაში. ახალ თანამშრომელს იწვევენ სასკოლო ღონისძიებაზე. სკოლა თანამშრომლებისათვის პერიოდულად აწყობს ექსკურსიებს, რაც კიდევ ერთი ნიმუშია ინტეგრაციისა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა ახალისებს პერსონალის განვითარებას და წარმატებებს. უცხადებს მათ მადლობას, ახალისებს ფულადი ჯილდოთი.აღნიშნული გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა ინიციატივებს პროფესიული განვითარებისთვის, სხვადასხვა პროექტებში ჩართვაზე. მაგ კონფერენციებში მონაწილეობა, პროექტებში ჩართვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- შიდა კონკურსის წარმოდგენილი დოკუმენტაცია,
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებულიმისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესუალურ მიდგომას და ხორციელდება ხარისხისუზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი,ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ავტორიზაციის განაცხადში დეტალურად აქვს გაწერილი საგანმანათლებლო საქმიანობისადმი პროცესული მიდგომა,რომელიც პროცესის კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას ეფუძნება. ასე მომზადდა გასული წლის სამოქმედო გეგმა სასკოლოსაზოგადოების ფართო ჩართულობით და შეფასდა მისი შესრულების ხარისხი, რაც დასტურდება სამოქმედო გეგმით და მისი შესრულების ანგარიშით. ასევე სასკოლო საზოგადოებამ ანალიზის პრინციპით იმუშავა სკოლის მისიისა და ხედვის ახლებურადჩამოყალიბებაზე, შეიმუშავა ზგემიდან გამომდინარე, კონკრეტულად ამ სკოლაზე მორგებული, ორიგინალური მისია და ხედვა, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელსაც დაამტკიცებს ახალ სასწავლო წელს.

სკოლას საგნობრივი კურიკულუმოს გადასინჯვის პრაქტიკის გარდა, აქამდე არ ჰქონია გამოცდილება პროცესების და საქმიანობის ხარისხის განვითარების ციკლის შესაბამისად მართვისა. არც სკოლის მიერ წარმოდგენილ განაცხადში ჩანს აღნიშნული. სკოლას წარმოდგენილი აქვს კვლევის განხორციელების რამდენიმე მტკიცებულება, სადაც მხოლოდ ერთი კონკრეტული ინსტრუმენტით მოპოვებული მონაცემები ჩანს. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უპირატესად მონიტორინგზეა ორიენტირებული და სასურველია, მეტად ითვალისწინებდეს ხარისხის უზრუნველყოფას „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას შემუშავებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები, რომლისთანმიმდევრულ განხორციელებას გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში, შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს გასაჩივრების მექანიზმი, რომელშიც გაწერილია დეტალური პროცედურები. ასევე, სკოლის შინაგანაწესის 22- ე მუხლში ვკითხულობთ რომ სკოლაში შემოსული ნებისმიერი განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მასზე რეაგირება უნდა

განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. სკოლას აქვს პრაქტიკული მაგალითები, სადაც თანმიმდევრულად ხორციელდება საჩივრის მიღებისა და საქმის წარმოების პროცედურები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია დასაქმებულების შრომის პირობების დაცვის წესები (მუხლი 9), დასაქმებულის დისკრიმინაციის შემზღუდავი მუხლები, თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოსწავლეთა მშობლებთან,

რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდებამშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება (მუხლი 19,მუხლი 23).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტკის დოკუმენტი
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები
- შინაგანაწესი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ზეპირი ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირისმიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება დამრიგებელთა მეშვეობით და პირისპირ შეხვედრებით. ასევე აქტიურად იყენებენსოციალური ქსელის ჩატს. სკოლა ახალ ინფორმაციას ათავსებს სკოლის სოციალურ გვერდზე. "ვებ" გვერდის შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობს. სკოლა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებთან დაკავშირებით მშობელთა ინფორმირებისთვის

აქტიურად იყენებს ელექტრონული ჟურნალის შესაძლებლობებს. სკოლის 1-ლ სართულზე არის საინფორმაციო დაფა, სადაც თავსდება ახალი ინფორმაცია, საჯაროდ გაზიარების მიზნით. სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს "თიმსის" პლატფორმასაც. გარდა ამისა, შინაგანაწესით გათვალისწინებულია მშობელთა ინფორმირება ყოველ პარასკევს, 13 საათიდან 17 საათამდე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულში, სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოში, მოსწავლეთა თვითმმართველობაში და ა.შ. შესაბამისი წესით ჩართულია მოსწავლეთა და მშობლების წარმომადგენელები.აღნიშნული დასტურდება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითმმართველობის ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები
- ზეპირი ინტერვიუ
- სკოლის სოციალური გვერდი
- დამრიგებლის ჟურნალები
- შინაგანაწესი
- ფოტოები

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებოსიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულშეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი. მ/შ შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა, სკოლას მომზადებული აქვს შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შეთხვევაში გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ გეგმა, რომელიც შეთანხმების ბოლო სტადიაშია, კერძოდ, იდენტიფიცირებულია ხარვეზები, მომზადებულია ხარვეზების აღმოფხვრის ხარჯთაღრიცხვა და გაგზავნისლია განათლებისა დაა მეცნიერების სამინისტროში დაფინანსების მოთხოვნა. შენობა 2020 წელს არის ნაწილობრივ რეაბილიტირებული და ვიზუალურად მდგრადობა თვალსაჩინოა, სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი შესაბამის სფეროში აკრედიტებულ ორგანიზაციასთან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთოების შესახებ დასკვნის მისაღებად. სკოლას ჰყავს 2 მანდატური, სკოლა აღჭურვილია 16 კამერებით. პირველად სამედიცინო დახმარებას ახორციელებს სკოლის ექიმი. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია სრულად. პაციენტის გასასინჯი პერიმეტრი ფარდით არის გამოყოფილი დანარჩენი სივრცისგან. სკოლაში სამედიცინო კაბინეტი 6 თვეა, რაც ფუნქციონირებს, ამდენად,ჯერ ვადაგადაცილებული მედიკამენტები არა აქვთ. ექიმმა იცის, რომ 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №41/ნ/01-23/ნ ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ საფუძველზე უნდა განახორციელოს, როგორც სამედიცინო ჟურნალის წარმოება, ისე მედიკამენტების ხარჯვის დაანგარიშება და ვადაგადაცილებული მედიკამენტების აღწერა.

სკოლას, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, დამტკიცებულია უსაფრთხოების დებულება. თვალსაჩინო ადგილზე აქვს გამოკრული ცხელი ხაზის ნომერი “112“. **სკოლას მიეცა რჩევა** შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისათვის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც არგუმენტირებულად ადასტურებს, რომ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას და შენობის მდგრადობის დასკვნის წარმოდგენას შეძლებს 2024 წლის 20 ივლისამდე პერიოდში. სკოლამ დამატებით წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში გადაცემის დოკუმენტი.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

2. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესები. სკოლის ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 16 სათვალთვალო კამერა და მანდატურის სამსახური, სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და პირობითი ნიშნები რომელიც გამოკრულია ყველასართულზე. საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელი. სართულებზე განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოების დასაცავად სჭირო სპეციალური ინვენტარი. სკოლას შიდა ბრძანებით ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ატარებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლაში მოქმედებს ექიმის კაბინეტი. ექიმი უზრუნველყოფსსკოლაში უსაფრთხოებას და ჯანსაღ გარემოს. სკოლას ჰყავს 3 დარაჯი. დარაჯის ხელშეკრულებას თან ახლავს მორიგეობის განრიგი. სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები სართულების მიხედვით, სართულებზე გამოკრულია გაკვეთილების ცხრილი და მორიგეობის განრიგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას ცალკე დოკუმენტად გაწერილი არა აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, მაგრამ სკოლაში მუშაობს მანდატურის სამსახური, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან. ექიმთან და პედაგოგებთან ერთად პასუხისმგებელია სკოლაში იყოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლაში ხშირად იმართება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები, ფილმების ჩვენება, ტრენინგები. და ა.შ. სკოლამ იცის, რომ საჭიროების შემთხვევაში უნდა მიმართოს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგს დახმარებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელსაც ატარებს სასკოლო ცხოვრებაში. სკოლაში დანიშნული ექიმი თვალყურს ადევნებს და უზრუნველყოფს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას, სკოლას ჰყავს 4 დამლაგებელი, სოციალური

დასაქმების ფარგლებში დაინიშნა დამატებით კიდევ 4 მომსახურე პირი. ეს პერსონალი უზრუნველყოფილია სანიტარულ ჰიგიენური საშუალებებით. სკოლის შენობაში არის შიდა საპირფარეშოები, მ/შ ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე. სრულად არის დაცული სანიტარულ ჰიგიენური ნორმები, სკოლა შეუფერხებლად მარაგდება ცენტრალური წყალმომარაგებით. სკოლას აქვს სათადარიგო ავზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი და უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, ამისთვის გამოყოფილი არის პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე პასუხიმგებელი პირი. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ მონაცემებში დაფარულია პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, ფოტომასალაში დაფარულია პირთა სახეები. მშობელი ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, რათა სკოლამ განახორციელოს მისი შვილის ფოტო-ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა, ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიყენოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემებს შემუშავებული მექანიზმის მიხედვით. განსაზღვრულია დოკუმენტებზე წვდომის უფლების მქონე კონკრეტული პირი/ პირები "eflow" და "e-shool" მონაცემთა ბაზებში. ასევე დაცულია ელექტრონულ ჟურნალშიდაფიქსირებული ჩანაწერები. მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს, საქმისმწარმოებელს და

საინფორმაციო მენეჯერს. მანდატურის სამსახური უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას ვიდეო თვალთვალის

განხორციელებისას. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა თანამშრომლობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

ვიდეო მონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან და ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლა უსაფრთხოების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას პერიოდულად ახდენს. ამ მიმართულებით იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს, რომლის შემადგენლობაში, გარდა სკოლის წარმომადგენლებისა, შედის მანდატური და რესურსცენტრის წარმომადგენელი. სკოლას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები ცალკე დოკუმენტად შემუშავებული არა აქვს თუმცა ავტორიზაციის განაცხადში აცხადებს მზაობას, რომ აღნიშნულ დოკუმენტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N 06 "ნ" ბრძანების საფუძველზე შეიმუშავებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები. დანართი N21; N49; N52; N 53; N54;; N 55; ინფორმაციის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი;; მრჩეველთა საბჭოს დებულება და ოქმები;

შეფასება:

სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ წერილი და დოკუმენტები;

- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი
- ვიზუალური დათვალიერება;
- ზეპირი ინტერვიუ

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნებისმისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსსმინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსიხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასაკის შესაბამისი მერხებით. საბუნებისმეტყველო საგნებისათვის გამოყოფილია ლაბორატორია. სკოლას შეუძლია დააკმაყოფილოს ავტორიზაციით მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა შესაბამისი, გამართული ინფრასტრუქტურით. სკოლა წარმოდგენილია მისამართზე საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიხა. ჩიხის საჯარო სკოლა არის ორსართულიანი 2კორპუსი და გათვლილია 400 მოსწავლეზე, საჯარო რეესტრის ამონაწერით ეზოს ფართი შეადგენს 18400 კვ.მ, რაც ვიზუალურად დასტურდება, შენობის ფართობი არის 2210. 81 კვ.მ. სკოლას აქვს საკმარისი საკლასო და დამატებითი ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი, სპორტ დარბაზი, სასადილო, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, დირექციის და ადმინისტრაციის კაბინეტები, მანდატურის და დარაჯის ოთახი, ტექნიკური პერსონალის ოთახი, კეთილმოწყობილი ეზო. ყველა კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, სკოლადაფარულია უკაბელო ინტერნეტით.

ინდიკატორი დამაყოფილებულია.

2. სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკა განთავსებულია მისთვის სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. არის წიგნადი ფონდი, თუმცა, სასურველია მეტი ახალი წიგნი. ბიბლიოთეკას აქვს რესურსების კატალოგი. წიგნები დამუშავებულია დადგენილი წესით. საკლასო სახელმძღვანელოები შესაბამის წიგნში გატარებულია ცალობით, მაგ მათემატიკა, V კლასი, ნაწილი I –25 ცალი, გეოგრაფია, X კლასი -27 ცალი. ყველა წიგნი ბეჭედდასმულია. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სკოლის საზოგადოებისათვის, გამოიყურება ესთეტიკურად. სკოლის ბიბლიოთეკარი თანამშრომლობს კათედრასთან. აქტიურად ერთვება სასკოლო პროექტებში. პროექტების ფორმატები და ფოტომასალა გამოფენილია ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკარი წლის დასაწყისში ადგენს
სამოქმედო გეგმას და შესათანხმებლად წარუდგენს სკოლის დირექტორს, ხოლო წლის ბოლოს წარმოადგენს გაწეული მუშაობის ანგარიშს.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

3. სკოლის პირველი სართული ადაპტირებულია, პირველ სართულზე მდებარეობს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. აქვს მოსასვენებელი და სამუშაო ზონები. რესურს ოთახში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება ერთიან, სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის მთლიანი სივრცე სავსეა მცენარეებით. მყუდრო გარემო ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მშვიდად წარმართვას. სკოლას აქვს სასწავლო პროცესისთვის დანიშნული ყველა საჭირო სივრცე: მოვლილი ეზო, ნათელი საკლასო ოთახები, ფართო დერეფნები, კაბინეტ- ლაბორატორიები, პროფესიის ათვისების მიზნით გამოყოფილი ოთახი, დამხმარე სივრცეები, სარემონტო, თუმცა სწავლებისთვისუსაფრთხო სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი. ეს ყველაფერი ქმნის მოსწავლის მხარდაჭერის პირობას და ხელს უწყობს ფიზიკურ სიჯანსაღეს, თანამშრომლობითი და გუნდური უნარების განვითარებას. სკოლა ხშირად ატარებს კურიკულუმის მიღმა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის აქტივობებს. მოსწავლეებს აქვთ სივრცეები თანმშრომლობისთვის და საკუთარი იდეების რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლას აქვს მოძველებული კომპიუტერები, თუმცა, სკოლის წარმომადგენლების თქმით, ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება სკოლის ახალი კომპიუტერებით აღჭურვა. ძირთადი სკოლის მთლიანი სივრცე დაფარულია უკაბელო ინტერნეტით. სკოლას აქვს სპორტულიინვენტარი, შიდა და გარეო მოედნები, რესურს ოთახი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლას აქვს კურუკულუმის რეალიზაციისთვის საჭირო თვალსაჩინოებები, პლაკეტები, სქემები მულაჟები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბიბლიოთეკის დებულება

ვიზუალური დათვალიერება

ზეპირი ინტერვიუ

სკოლის სოციალური გვერდიშეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისსრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვისსკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციის და ადმინისტრაციის სივრცეები აღჭურვილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, ყველგან არის ხელმისაწვდომი უკაბელო / ხაზის ინტერნეტი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში არის მოძველებული 15 კომპიუტერი (სკოლის დირექციის და რესურსცენტრის ინფორმაციით, ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება ახალი კომპიუტერების შემოტანა), 1 პროექტორი, საჭირო რაოდენობის პრინტერი/სკანერი, რომელიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და ხელმისაწვდომია ყველასთვის.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიების სასწავლო და სამუშაოპროცესებში გამოყენების არეალის გაზრდას. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც ეხმარება /ფასილიტაციას უწევს მოსწავლეებს და მასწავლებლებს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენაბაში. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი, რათა, მომავალი სასწავლო წლიდან კომპიუტერული ლაბორატორია ეფექტიანად იქნას გამოყენებული.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულიადასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები. ☐ანართიN47; N58

ვიზუალური დათვალიერება

ციფრული განვითარების გეგმა

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

ზეპირი ინტერვიუ

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულისისტემა;

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობისმარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 . სკოლა ეყრდნობა საქმისწარმოების ზოგად ნორმატიულ აქტებს, მაგალითად საქართველოს პრეზიდენტის 1993 წლის ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული,, საქმის წარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების“ შესახებ. შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების საკუთარი წესი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდებაშრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავარობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება eflow, eschool,rs.ge, http://procurement.gov.ge/ , და ა.შ. Office 365, MS Word, MS Exel. MS Power Point, და Gmail-ელექტრონულიფოსტა, Facebooc; eflow-ის საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას. სკოლა ამზადებს ვებ გვერდს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულფასოვანი პროფილი მართვის ელექტრონულ სისტემაში, შეტანილი აქვს მოსწავლეთა, მშობლებისა და მასწავლებლის მონაცემები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ადგილზე სისტემის ვიზუალურად დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ყველა ანგარიშს და ინფორმაციას დროულად აწვდიან რესურსცენტრს, დროულად აწვდიან ფინანსურ ანგარიშებს. სკოლას გამოქვეყნებული აქვს ანგარიში მაცნეს გვერდზე საჯარო ინფორმაციის გაცემასთან

დაკავშირებით, დროულად ბარდება დირექტორის ანგარიშები სამეურვეო საბჭოს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი-დანართი N19, N59,N60; N61; N62
ვიზუალური დათვალიერება
ზეპირი ინტერვიუ
დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობისშესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს ვებგვერდი, ამჟამად მიმდინარეობს მისი გამართვა ,თუმცა აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook) სადაცქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, სიახლეებზე.

სკოლამ არგუმენტირებულად წარმოადგინა მტკიცებულება ვებ გვერდის შექმნის შესახებ: ბრძანებით გამოყოფილი პირი, მოქმედი ვებ გვერდი.

2. სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რათა სკოლის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყოს სანდო და უტყუარი. სკოლას ამ მიზნით გამოყოფილი ჰყავს სპეციალური პირი, რომელსაც ევალება სოციალურ გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება, პასუხისმგებელია ამ გვერდის ფუნქციონირებაზე, მას ინფორმაციას აწვდიან დირექტორი, კათედრის ხელმძღვანელები, მასწავლებლები. ინფორმაცია გამოქვეყნების წინ ყოველთვის მოწმდება. სკოლის სოციალური გვერდი ქმნის შთაბეჭდილებას მიმდინარე პროცესების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა იყენებს ანონიმური გამოკითხვის მექანიზმს კითხვარების საშუალებით. საჭირო ინფორმაციას ღებულობს სხვა არხებითაც: სოციალური ჩატი, მშობელთა კრება, მრჩეველთა საბჭო. მნიშვნელოვანი წინადადებები განიხილება პედსაბჭოზე,კათედრებზე აკეთებენ ანალიზს და ითვალისწინებენ მუშაობის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას არ აქვს ვებ. გვერდი , თუმცა მუშაობა დაწყებულია ამ მიმართულებით.

სკოლამ არგუმენტირებულად წარმოადგინა მტკიცებულება ვებ გვერდის შექმნის შესახებ: ბრძანებით გამოყოფილი პირი, მოქმედი ვებ გვერდი.

5. ვებ გვერდის შექმნაზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს. ამდენად, არც სკოლის ძირითადი, საჯარო ინფორმაცია მასზეგანთავსებული ჯერ არ არის. სოციალურ გვერდზე არის გამოქვეყნებული სკოლის მისია , ხედვა და ღირებულებები. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

სკოლამ არგუმენტირებულად წარმოადგინა მტკიცებულება ვებ გვერდის შექმნის შესახებ: ბრძანებით გამოყოფილი პირი, მოქმედი ვებ გვერდი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური გვერდი
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას არა აქვს დიდი ფინანსური შემოსავალი. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტში ჩაშლილია წლიური აუცილებელი ხარჯები.დაგეგმვა არის რეალისტური.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, ქმნის ყოველწლიურ ბიუჯეტს , აკეთებს ყოველთვიურ და კვარტალურანგარიშებს. ავსებს ბალანსის ფორმებს და წარუდგენს მაკონტროლებელ ორგანოს, სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ

ფინანსურ ანგარიშებს. შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების წესი. სკოლა ყოველი წლის ნოემბრის თვეში შეიმუშავებსშესყიდვების წლიურ გეგმას და ტვირთავს გვერდზე ePLAN , როგორც გეგმას ასევე შესრულების ანგარიშს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 3.7 კომპონენტის 3.7.1კრიტერიუმის 1. ინდიკატორის მტკიცებულებები დანართი N63; 64; 65; 66

- 3.7კომპონენტის 3.7.1კრიტერიუმის 1. ინდიკატორის მტკიცებულებები დანართი N67; 68; 69
- სკოლის ბიუჯეტი
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა დაგარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა დაგაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე დამკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით. შინაგანაწესიდან გამომდინარე, კლასებში შემუშავებულია ქცევის წესები. როგორც შინაგანაწესი, ისე ქცევის წესები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დასტურდება პედაგოგიური გუნდის გამოკითხვით, თვალსაჩინო მასალით. სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლეთა ქცევის წესების, გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაციის გაცნობა დასტურდება საკლასო და მშობელთა კრებების ოქმებით. აღნიშნული გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში .სკოლას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის რეგულირების დოკუმენტი. სკოლის დერეფანში, თვალსაჩინო ადგილზე, გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში შედგენილია სადამრიგებლო პროგრამები. სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობს შინაგანაწესს. კლასში მოსწავლეები და დამრიგებელი ერთადადგენენ ქცევის წესებს, წესები და შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, როგორც დერეფანში, ისე საკლასო ოთახებში. მეტი გამჭვირვალობის მიზნით, სკოლა გეგმავს ვებ გვერდის დამთავრებისთანავე სკოლის შინაგანაწესის ატვირთვას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას მოსწავლესთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. იგი შეიცავს თარიღს, მონაცემებს,ვის შორის დგება ხელშეკრულება, რა უფლებები და პასუხისმგებლობა აკისრია მხარეებს. მასში ნათლადაა წარმოდგენილი მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი. დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

- სკოლის შინაგანაწესი
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ
- ხელშეკრულება მშობელთან
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა დაშეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა დაშეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტისმექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს კანონმდებლობით დადგენილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის,სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმი. იგი ხელმძღვანელობს “ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით” და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04”ნ”(11/012017). სკოლა აკონტროლებს მოსწავლეთა გაცდენებს. 10/20/45 დღის გაცდენის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი მოიკვლევს მიზეზს და აღნიშნულის შესახებ წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. სკოლის დირექტორი, დამრიგებლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კანონის შესაბამისად.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესს, რაც დასტურდება წარმოდგენილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით; “ემისის” ბაზით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მშობლებს და მოსწავლეებს სთავაზობს დამატებითი მომსახურების არჩევანს, რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმით. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს იჯარით გაცემული ბუფეტი, ვინაიდან არ არის მსურველი, თუმცა, აქვს სივრცე, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ სახლიდან წამოღებული საკვები მიირთვან. ამ დანიშნულებით გამოყენებული სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. მ/შ არის ხელსაბანი. მშობელთა და მოსწავლეთა სურვილით, მუშაობს ხალხური ცეკვის შემსწავლელი წრე, სიმღერის ანსამბლი. წრეების საფასურის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ახალი

სასწავლო წლიდანაც, მშობელთა და მოსწავლეთა მოთხოვნის შესაბამისად, იმუშავებს სხვადასხვა წრე, რომლის გამოცდილებაცსკოლას აქვს წინა წლებიდან . ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის დამატებითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია კანონის დაცვით არის გავრცელებული სკოლის პერსონალის მიერ, როგორც სკოლის სივრცეში, ისე სოციალურ გვერდზე. სკოლა ამჟამად მუშაობს ვებ გვერდის შექმნაზე, რომელზეც განათავსებსსაჯარო ინფორმაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულიადასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.1.კომპონენტის 4.1.2კრიტერიუმის 1. ინდიკატორის მტკიცებულებები - დანართი N 74; N75

4.1 კომპონენტის 4.1.2კრიტერიუმის 2. ინდიკატორის მტკიცებულებები - დანართები N77, N78,

4.1 კომპონენტის 4.1.2კრიტერიუმის 3. ინდიკატორის მტკიცებულებები - დანართი N01; N71

4.1 კომპონენტის 4.1.2კრიტერიუმის 4. ინდიკატორის მტკიცებულებები - დანართები -პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, შემუშავებული დოკუმენტი დანერგილია სასკოლოცხოვრებაში, კერძოდ, სკოლა კავშირს ამყარებს წინასწარ პირველ კლასში შემომსვლელ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან საბავშვო ბაღის დახმარებით; იწვევს სკოლაში, აცნობს გარემოს, ატარებს მხატვრულ ღონისძიებებს. თუ სსსმ მოსწავლეა, აცნობს სპეციალურ მასწავლებელს, ათვალიერებინებს რესურს ოთახს, იქ განთავსებულ ინვენტარს, სამუშაო და მოსასვენებელ სივრცეს. სკოლას სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებულია მონიტორინგი. წარმოდგენილი აქვს მონიტორინგის მასალები.; შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყებისთანავე ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, რაც დეტალურად გაწერილია ტრანზიციის გეგმაში. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ინვენტარით. სკოლის პირველი სართული ადაპტირებულია. აქვს პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი. პირველ სართულზე მდებარეობს რესურს ოთახი,

რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. გარემო მყუდრო და მოსახერხებელია. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი. ის თანამშრომლობს საგნის მასწავლებლებთან და ეხმარება მათ საჭიროებაზე მორგებული ინდივიდუალური გეგმების შედგენაში. კომუნიკაცია აქვთ სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან. სასკოლო საზოგადოებასთან ერთად, სპეციალური მასწავლებელი ზრუნავს სსსმ მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლაში მოსწავლეთათვის საინტერესო, საქმიანი გარემოა შექმნილი. პირველკლასელთა ადაპტაციის მიზნით, სწავლის დაწყებამდე 2 კვირით ადრე სკოლა შეხვედრას უწყობს მომავალ მოსწავლეებს მშობლებთან ერთად. აცნობს მათ გარემოს, მასწავლებელს, სკოლის პერსონალს. (დანართი N84; N82)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით, მნიშვნელოვან დროს უთმობს სასკოლო გარემოს კეთილმოწყობას, რათა თითოეულმა მოსწავლემ

მიიღოს საჭიროებიდან გამომდინარე მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია სპორტული და სააქტო დარბაზები, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც საჭიროებს მეტად აღჭურვას საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებით. ახალი სკოლისმოდელის ფარგლებში, სკოლა ელის დამატებით კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვას. სკოლა ახორციელებს სსსმ მოსწავლეთა უნარების განვითარებას. ამ მიზნით, მოწყობილია რესურს ოთახი, რომელიც სათანადოდ არის აღჭურვილი და ეძლევა საშუალება სსსმ მოსწავლეს, მიიღოს საჭირო მხარდაჭერა. სკოლის ინვენტარი იძლევა მოსწავლეთა მხარდაჭერის საშუალებას. სკოლის ბიბლიოთეკის სივრცე დამაკმაყოფილებელია. ბიბლიოთეკარი აქტიურად ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა კათედრასთან ერთად. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი მრავალფეროვან ღონისძიებებში. აღნიშნულის დასაბუთება შეიძლება ბიბლიოთეკაში გამოფენილი პროექტებით. სკოლა ჩართულია გარე შეფასების პროექტში "შეფასება განვითარებისათვის", რომელსაც ახორციელებს გამოცდების ეროვნული ცენტრი. სკოლა თავადაც ახორციელებს შიდა შეფასებას, შემაჯამებელი
დავალებების ანალიზს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ მხარდაჭერას. (დანართი N38)

მოსწავლეები საჭირო ინფორმაციას ღებულობენ კარიერული განვითარების მიმართულებით. ისინი ხვდებიან თავდაცვის აკადემიის სამთო მომზადების გუნდს. აწყობენ ექსკურსიას კოლეჯ "იბერიაში", რომელთანაც ძალიან აქტიურად თანამშრომლობენ, სკოლას აქვს გამოფენილი ფოტომასალა პროფორიენტაციის მიმართულებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს მოსწავლეს კანონით დადგენილი დროის სრული დაცვით. კლასის, საფეხურისდაძლევის, ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები გამოცემულია ვადების დაკანონმდებლობის დაცვით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5 .სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლაში კანონის დაცვით არის არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა. თვითმმართველობის ინიციატივით შექმნილია კლუბები: "სიხარული სულის ჯანმრთელობაა", "სიკეთე გადამდებია" (დანართი N43); დამტკიცებულია თვითმმართველობის დებულება. კლუბის მუშაობაში აქტიურად არის ჩართული სკოლის ექიმი, რომელთანაც იმართება საკონსულტაციო შეხვედრები ჯანსაღ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე. დამრიგებლებისადამრიგებლო საათის ფარგლებში მართავენ შეხვედრას ექიმთან. .
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის დირექტორის განმარტებით, პროექტების დასრულების შემდეგ ახორციელებენ უკუკავშირს, როგორც ზეპირად, ისესოციალური გვერდის მეშვეობით. მხარდაჭერა მოიცავს , როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ მიმართულებას. სკოლაში 3წელია, მუშაობს პროექტი "ახალი სკოლის მოდელი" (დანართი N57). მშობელთა მხარდაჭერით მუშაობს ცეკვის წრე, ანსამბლი"ნათება". პროექტების დასრულების შემდეგ, მოსწავლეები საუბრობენ, რა მოეწონათ, რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ სამომავლოდ, რომელი კლუბის შექმნა სურთ. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მეტად წაახალისოს მოსწავლეთა ინიციატივები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულიადასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.: დანართები: NN80; 81; 82; 38;;79; 43;57.

ვიზუალური დათვალიერება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადიგანათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვას, რაც დასტურდება პროფესიულ სასწავლებელ "იბერიასთან" 3-წლიანი თანამშრომლობით, რაც აისახა მოსწავლეებში "ელექტრო მექანიკოსის" და ძრავის შემკეთებლის პროფესიის პოპულარიზაციაში. კურსის გავლის შემდეგ მოსწავლეები იღებენ შესაბამის სერტიფიკატს (დანართიN5) სკოლა ამ მიმართულებით აღჭურვილია შესაბამისი ხელსაწყოებით "იბერიის" მხარდაჭერით. პერიოდულად სკოლაში იწვევენ სხვადასხვაპროფესიის წარმომადგენლებს, მათ შორის "სამთო მომზადების სამხედრო გუნდს". სადამრიგებლო საათზე საუბრობენ სამომავლო პროფესიებზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს პროფესიული ორიენტაციის მიზნით. ინფორმაციას ავრცელებს დამრიგებელთა მეშვეობით, მშობელთა კრებებზე, სოციალური გვერდის საშუალებით, ან საინფორმაციო დაფაზე განათავსებს ინფორმაციას ასეთი შეხვედრების შესახებ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა აფასებს წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების ხარისხს და მიზნობრიობას. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს შექმნას შეფასების მექანიზმი რომელიც დაეხმარება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში. სკოლა სამომავლოდ გეგმავს გამოიყენოს კარგი პრაქტიკა "იბერიასთან" და განაგრძოს თანამშრომლობა მასთან. ფიქრობს, საზეიმოდ გადასცეს სერტიფიკატები მოსწავლეებს, რათა მომავალ თაობაში გააღვივოს პროფესიისადმი პატივისცემა. ასევე, სამომავლოდ გეგმავს იკვლიოს პროფესიული საჭიროება თემში და დანერგოს მოთხოვნადი, აქტუალური პროფესიების შესწავლა. .
ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2 კომპონენტის 4.2.2კრიტერიუმის 1. ინდიკატორის მტკიცებულებები - დანართი N5; N51
4.2 კომპონენტის 4.2.2კრიტერიუმის 2. ინდიკატორის მტკიცებულებები -დანართი ვიზუალური მასალა
4.2 კომპონენტის 4.2.2კრიტერიუმის 3. ინდიკატორის მტკიცებულებები - ხელშეკრულება "იბერიასთან"

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამებასაქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა დათანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინდივიდუალურსასწავლო გეგმას ქმნის ამ მიზნით დამტკიცებული ისგ ჯგუფი. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლებისსამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ჩასატარებელი აქტივობები, დრო და პასუხისმგებელი პირები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
2..სსსმ მოსწავლეთა აღზრდას სკოლაში ემსახურება 1 სპეციალური მასწავლებელი - უფროსი მასწავლებლის სტატუსით. სპეციალური მასწავლებელი შერჩეულია კონკურსის წესით. იგი თანამშრომლობს დანარჩენ მასწავლებლებთან, მშობლებთან და ხელს უწყობს პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას. ერთობლივად გეგმავენ ღონისძიებებს, რომლებშიც აქტიურად რთავენსსსმ მოსწავლეებს. ე-10 კლასის სსმ მოსწავლე ჩართულია საკლუბო მუშაობაში "სიკეთე გადამდებია," მათი ნაშრომები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, რესურს ოთახში და მიმდებარე დერეფანში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2 კომპონენტის 4.2.3კრიტერიუმის 1. ინდიკატორის მტკიცებულებები -დანართები N84; N85; N87

4.2 კომპონენტის 4.2.3კრიტერიუმის 2. ინდიკატორის მტკიცებულებები - დანართები N 83; N86: N88

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდებაკანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება,კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობისშემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლაში მოქმედებს ცეკვის წრე, ვოკალური ანსამბლი. დასახელებული წრეები მუშაობს კანონმდებლობის დაცვით. სკოლა, ასევე, ახორციელებსტრანსპორტით მომსახურების პროგრამას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურება ხორციელდება კანონის შესაბამისად, ნებაყოფლობის პრინციპით. სკოლის მიერ განხორციელებული არასავალდებულო მომსახურება ხელს უწყობს მოსწავლეთაკულტურულ აღზრდა-განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას აქვს ფართის იჯარით გაცემის გამოცდილება, რომელიც განხორციელდა კანონის სრული დაცვით. თუმცა, იჯარა შეწყდა მოთხოვნის არ არსების გამო. სკოლაში ფუნქციონირებდა გასულ სასწავლო წელს წრეები კანონის შესაბამისად. სკოლა გეგმავს სამომავლოდ წრეების გახსნას, მოთხოვნის შესაბამისად, ნებაყოფლობის პრინციპის დაცვით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები): სატრანსპორტო სამსახურის დოკუმენტაცია, ფოტომასალა გამოფენილი , დანართი N71

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

დაწყებითი საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5 სკოლას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც

მისცემს სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. იგი გაწერილი და წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიურ დოკუმენტში. ასევე სკოლის მიერ შექმნილ და განხორციელებულ ღონისძიებებსა თუ მექანიზმებში, სადაც სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება იკითხება.

სკოლას მიეცა **რჩევა-** მეთოდოლოგიაში დააკონკრეტოს აქტივობები, მათზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც უშუალოდ დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში ამოიცნობა, რომლებსაც თან ახლავს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტი.ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ახლადშემუშავებულ კურიკულუმში გამიზნულიურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ნაყოფიერი ჩართულობა, სხვადასხვა პროექტის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება, გასვლითი გაკვეთილების გამოცდილება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. სკოლის სამომავლო გეგმები, საკუთარ პრაქტიკაში დახვეწოს მექანიზმები და

სისტემატურად გამზადდეს შესაბამისი დოკუმენტები, უპირობოდ გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები სწავლა- სწავლებაში, კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვაში, რაშიც უმნიშვნელოვანესადაა გააზრებული სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესთა თანხვედრა, აღნიშნული ინდიკატორის დაფარვის შესაძლებლობას გვაფიქრებინებს, მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული მშობელთა თანამშრომლობა, რაც მათთვის მშობლის ბარათის გამოყენების პრაქტიკითა დამშობელთა კრების ოქმების საშუალებით მტკიცდება.

ინდიკატორი **2.1.1.2** შესაბამისობაშია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიასა“ და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის რეფლექსიასა და თვითრეფლექსიას. სკოლა საუბრობს, რომ აღნიშნულ კურუკულუმზე მუშაობის პროცესში მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებენ ერთმანეთს შეხედულებებს და მსჯელობენ სწავლა-სწავლების მდგრადობასა და კლასების სუსტ და ძლიერ

მხარეებზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილებების ადაპტირება. კურიკულუმებს ქმნიან კლასების მიხედვით , მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მოსწავლეებისა და მასწავლებლების თვითშეფასებებისსაფუძველზე. 2023-24 წლის სასკოლო კურიკულუმში გეგმავენ მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებულისტრატეგიის შემუშავებას. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის შემუშავებაში კანონზე დაფუძნებით მონაწილეობას მიიღებს სკოლის დირექტორი. ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სრულყოფილ კურიკულუმს დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი **2.1.1.3** შესაბამისობაშია

4. დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი, კათედრაზე მასწავლებლებს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე დაფუძნებული სწავლა–სწავლების სიკეთეები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. სკოლა გეგმავს, მას შემდეგ, როცა მომდევნო სასწავლო წლის სექტემბრიდან სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმი შეიქმნება, იგი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გასაჯაროვდება მეტად ფართოდ. ამისათვის გამოყენებული იქნება მშობელთა კრებები; სკოლის სოციალური გვერდი, როგორც მშობლების, ასევე მთელი სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებისათვის; ასევე მშობლის ბარათები, სადაც ნათლად ჩანს კომპლექსური დავალების პირობა, შესრულების ვადები და შედეგები. კურიკულუმის საბოლოო ვერსია განთავსდება სკოლისვანდრაივზე, რომელზე ხედვაც სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია .

ინდიკატორი **2.1.1.4**. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები

სტატუსის მაძიებლის სკოლის თვითშეფასების ფორმა

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2022-2023 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა,საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის სამუშაო გეგმა

მასწავლებლების ინტერვიუსასკოლო სასწავლო გეგმა
დანართი 119 . მშობელთა კრების ოქმი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდურიორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა დაგანვითარების გზას;
2 კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6

უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები:. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმილი კომპლექსურებით უზრუნველყოფს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას

გარდა ამისა სკოლას გაწერილი აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია

2. საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას, მოსწავლის წინარე ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლას ახალი ცოდნის აღმოჩენამდე. ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. ფაქტია, სკოლას გრძელვადიან მიზნებსა და ფუნქციურ–კომპონენტური უნარების გაკვეთილზე უზრუნველყოფის კარგი გამოცდილება აქვს, მაგლითად, დაწყებითების კათედრა ასახელებს მეორე კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებას „ დიორამების შექნა წელიწადისდროებზე“. მოსწავლეებმა სხვა საგნებშიც შექმნეს დიორამები, გააკეთეს პრეზენტაციები სასკოლო საზოგადოების წინაშე. რითაც მოსწავლეებსგანუვითარდათ შემოქმედებითი აზროვნება, პრეზენტაციის უნარი, კრიტიკული აზროვნების, ფანტაზიის უნარი დამოახდინეს ცოდნის ტრანსფერი ცხოვრებაში.

სკოლას მიეცა **რჩევა:** კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციოს აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვროს თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.

ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია

3.. კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, კომპლექსური დავალებები, იმთავითვე გულისხმობს

სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, რაც მკაფიოდ იკითხება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით. სკოლა ჩართული იყო - ჯიპრაიდის საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში. შესაბამისად სკოლა აღჭურვილია სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსებით, რომელსაც ეყრდნობიან და სისტემატიურად იყენებენ სწავლა- სწავლების პროცესში. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები, მასწავლებლებმა იციან თუ როგორ გაიყვანონ მოსწავლეები შუალედური მიზნებით, გრძელვადიან მიზნებზე. კომპლექსური დავალების საშუალებით მასწავლებელი უზრუნველყოფს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას - მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომებს, ასეთ მოსწავლეებთან მუშაობაში აქტიურად არის ჩართული სპეციალური საჭიროების მასწავლებელი. სსსმ მოსწავლეებისათვის, საგნების მიხედვით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სწავლება ხორციელდება აღნიშნული გეგმების შესაბამისად. რის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში, სსსმ მოსწავლის შუალედური მონიტორინგის დოკუმენტი, ინდ გეგმის დანართიმოდიფიცირებული კომპლექსური დავალებით.

სკოლას მიეცა **რჩევა:** მოსწავლეებს შესთავაზოს მათზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია

4.. სკოლას სასკოლოსასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც 2023-2024 სასწავლო წლის გეგმის პროექტში აქვს გაწერილი. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. კათედრაზე მიაჩნიათ, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა დასანდოობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. და რომ რუბრიკების შემუშავებაში მოსწავლეთა ჩართულობა ზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ნამუშევრების ურთიერთშეფასება. სკოლა გამჭვირვალეობას უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით. მათ უნდა იცოდნენ რომელ კრიტერიუმში როგორ შეფასდებიან, ამით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა რეალურად შეაფასონ საკუთარი ცოდნა. სკოლაში საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები ნათელი და გასაგებია, შეფასებები ასახავს მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონეს სათანადო მასალის ათვისებაში.

ინდიკატორი **2.2.2.4** შესაბამისობაშია

5. სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. მიმართულებით, სკოლას აქვს გამოცდილება, რომ პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე პერიოდულად განიხილოს განხორციელებული კომპლექსური დავალების შედეგების ანალიზი, რომელიც კონსტრუქტივისტული პრინციპებით სწავლებას ნიშნავს, ასევე გულისხმობს მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას, რომელიც დაფუძნებულია წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მასზედ ახალი ცოდნისკონსტრუირებაზე. მასწავლებლები საუბრობენ საკუთარი პრაქტიკის გაზიარების, უკუკავშირის, რეფლექსიის, კოლეგების გამოცდილების გაზიარების კურუკულუმების, სასწავლო პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, თუ სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების შესრულების შესახებ.

ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები დანართი 30. პროექტი „ გარემო ჩემი სახლია''

შეფასების რუბრიკა -„ კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის შეფასება სამი დონის მიხედვით''სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
სკოლის თვითშეფასების კითხვარი.

დანართი 107 . განმავითარებელი შეფასება „მე და საზოგადოება“ - ში;მასწავლებლებთან ინტერვიუ.
სასკოლო სასწავლო გეგმა
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ტექნოლოგიები - გამოყენებული შესაბამისი რესურსები

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული დაპირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო

პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მაგ, „გარემო ჩემი სახლია“, „დედაენა“, “, კლუბის „სიხარული სულის ჯანმრთელობაა“ ფუნქციონირება. ეს მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის წარმოსაჩენად. სკოლის თვალთახედვით, სასწავლო პროცესში მოსწავლეების ავტონომიურობა და აქტიური შემოქმედებითი ჩართულობა მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს, რისთვისაც საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო პროცესში ისეთი ტიპის აქტივობების გამოყენების პრაქტიკაზე საუბრობენ, რაც მოსწავლის დამოუკიდებლობასდა არჩევანის გაკეთებას უწყობს ხელს. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მოსწავლეთა ინიციატივების კიდევ უფრო წახალისებას.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. ამ ყოველივეს უზრუნველსაყოფად სკოლას მიაჩნია, რომ რელევანტურია ისეთი აქტივობების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, როგორებიცაა: გონებრივი იერიში, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ხუთი თითისსქემა, მოლოდინების ღრუბელი, გმირის რუკა და სხვა, ამიტომ სასწავლო პროცესი უწყვეტია და კონსტრუირებული. მათი ხედვით, საკლასო სივრცეში

მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. სამომავლოდ კათედრა გეგმავს გააგრძელოს ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით და მომავალი წლის კურიკულუმში სასწავლო პროცესისა და პროდუქტის დიფერენცირებაზე ორიენტირებული სტრატეგიების დანერგვა უზრუნველყოს, რაშიც ერთ–ერთ ინსტრუმენტად მეთოდური ლიტერატურის გაცნობა და კოლეგების გამოცდილების გაზიარება ესახებათ.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. კურიკულუმებში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. შესაბამისი მიგნებები კათედრას სანიმუშოდ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასადა შეფასების რუბრიკებში აქვს წარმოდგენილი. სკოლა საუბრობს, კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მნიშვნელობაზე. ამ უნარების განვითარებაზე მუშაობენ მუდმივად. ყოველი მოსწავლის შესრულებული დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლევა საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რახელიშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რას შეცვლიდა თავიდან რომ გეგმავდეს

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია.

4. სკოლა ეროვნულ სასაწავლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე.

სკოლა მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებისათვის იყენებს სოლო ტაქსონომიას, ცდილობს ისე დაგეგმოს გაკვეთილები, რომ გაითვალისწინონ მაღალი და დაბალი დონის სააზროვნო კითხვები, სადაც დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული ცოდნებით იქნება გააქტიურებული. ამ ინდიკატორის დაძლევის კარგი პრაქტიკულიმაგალითია ქართულ ენასა და ლიტერატურაში პირველი კლასის მოსწავლეების მიერ სასწავლო პროექტის ფარგლებში საკუთარი „ დედაენის“ შექმნა, პედაგოგები გეგმავენ, რომ სამომავლოდ შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რასაც საფუძვლად დაედება კომპლექსური დავალებებით სწავლება კომპლექსური დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული.

2023-24 სასწავლო წლისთვის გეგმავენ ისეთი კომპლექსური დავალებების შეთავაზებას, რომლის შესაქმნელად მოსწავლეს დასჭირდება თეორიული ცოდნა დაუკავშიროს ყოფა-ცხოვრებას.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ცოდნათა ორგანიზებისუზრუნველსაყოფად სკოლის პრაქტიკა ისეთი არაფორმალურ გარემოში ჩატარებული აქტივობებით გამოირჩევა,როგორებიცაა, მაგალითად, ექსკურსიები, განხორციელებული პროექტი „ ჩვენ და თეატრი“, რომლის ფარგლებშიც დაწყებითი კლასის მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად იმყოფებოდნენ საჩხერისა და ჭიათურის თეატრებში, სადაც გაიმართა

მოსწავლეებისათვის საინტერესო წარმოდგენები: საბავშვო სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“, თოჯინების სპექტაკლი: „პეპი გრძელი წინდა“. შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლის ხედვები აღნიშნული საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობებით რეალიზების შემთხვევაში მოახდენს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სკოლა გეგმავს, კურიკულუმში გაითვალისწინოს და შეიმუშაოს ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც მოახდენს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. რისთვისაც გარდა კომპლექსური დავალებების განხორციელებისა, გეგმავს პროექტით სწავლებას.

2.2.1.5 შესაბამისობასია.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.საგნობრივი კურიკულუმები
სკოლის თვითშეფასება.

განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფესების რუბრიკა მუსიკა/სახვიტი და გამოყენებითი ხელოვნება.დანართი N 100 . „გარემო ჩემი სახლია“

დანართი N 103. “დედაენა“

მასწავლებლებთან ინტერვიუ; სასწავლო პროექტები (ადგილზე)
მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები (ადგილზე)

განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები (ადგილზე) მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები (ტექნოლოგიები) სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები (ტექნოლოგიები)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს**.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივსაკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და

შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. - სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისიმკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის პედაგოგები კლასის ყველა მოსწავლეს დაეხმარებიან კომპლექსური დავალების შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში შეადგენენ მოდიფიცირებული დავალების პირობას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა მკაფიოდ იკითხება პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.

დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურილულუმი მესამე თაობის ესგ-ს შესაბამისადაა შექმნილი. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები: “ბოულინგი”, “დავეხმაროთ წითელქუდას”, “ კონვერტის დამზადება”.,

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურუკულუმებზე დაყრდნობით შემიძლია დავასკვნა რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს თითოეულ თემაში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ცნებებთან და ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან.

ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია

2. მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ- ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სკოლა საუბრობს მოსწავლეების სოციალურ პროექტებში ჩართულობაზე, სადამრიგებლო საათებზე, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობ სხვადასხვა ღონისძიებაზე. ასევე ფილმების ჩვენება, თეატრში გასვლები. ფილმების, სპექტაკლის ნახვის შემდეგ მოსწავლეების მიერ თავიანთი დამოკიდებულების თავისუფლად გადმოცემა მის პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებას ემსახურება. მაგალითისათვის სკოლას მოჰყავს მეორე კლასში განხორციელებული პროექტი „დედა“, ახალ კურიკულუმში დაწყებით საფეხურზე კვლავ გეგმავენ პროექტულ სწავლებას და სხვა არაფორმალური აქტივობების გაძლიერებას, რაც მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ

განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს. კათედრა სამომავლოდ ხედავს საჭიროებას მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო- სოციალური განვითარების მიზნით სასკოლო საზოგადოება გააქტიურდეს.

ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია

3.. შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ

სასწავლო გეგმას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. შეფასების ჰოლისტურობის მხარდასაჭერად სკოლას აქვს ისეთი აქტივობები და მეთოდები შერჩეული, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისათვის გეგმავს გაითვალისწინოს, რომ შეფასების სისტემა უფრო დასახვეწია და შესაქმნელია შეფასების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ფუნქციურ- კომპონენტური უნარები.

ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია

4. სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს.სკოლა მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებისათვის იყენებს სოლო ტაქსონომიას, ცდილობს ისე დაგეგმოს გაკვეთილები, რომ გაითვალისწინონ მაღალი და დაბალი დონის სააზროვნო კითხვები, სადაც დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული ცოდნებით იქნება გააქტიურებული. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას სკოლაასევე წარმოგვიდგენს არაფორმალური სწავლებისას, რაც ვიზიტისას დაადასტურა კათედრამ. წარმოდგენილია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე.

დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები ნათელი და გასაგებია, შეფასებები ასახავს მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონეს სათანადო მასალის ათვისებაში.

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების და შემაჯამებელი დავალებების ანალიზების მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ რომ საგნებში დაცულია შეფასების ძირითადი პრინციპები. მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესში წინასწარ ცნობილია შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები, იციან რომელ კრიტერიუმში როგორ შეფასდებიან, ამით ხელს უწყობენ მოსწავლეებმა რეალურად შეაფასონ საკუთარი ცოდნა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი შეფასების რუბრიკებს მშობლებსაც აცნობენ .

ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია

5. როგორც საერთოდ სკოლა, ისე დაწყებითების კათედრა შეფასების სისტემის მექანიზმების შემუშავებისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. კათედრაზე საუბრობენ, რომ სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და ამ მექანიზმების გამოყენების გამოცდილება. სკოლაში დანერგილია ,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რის საფუძველზეც ითვალისწინებენ

ეფექტურ უკუკავშირს. სწავლა-სწავლებისხარისხის გაუმჯობესებაზე დირექციასთან ერთად ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი და სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული. სკოლას წარმოდგენილი აქვს - შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. სადაც კარგად ჩანს სასკოლო საზოგადოების ხედვა ამ საკითხთან მიმართებით. ვერიფიკაციის პროცესზეპასუხისმგებელი პირები თავის ფუნქციებს ახორციელებენ პრინციპით- რომ შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური,სანდო,გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. ვერიფიკაციის პროცესში ჩართულია ხარისხის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის

დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას. ჯგუფი ვალდებულია გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების

შესრულება. 1-4 კლასებში მოსწავლეთა ურთიერთშეფასებისათვის იყენებენ ე.წ. „შუქნიშნებს“, მოსწავლეები თავად აფასებენ თანაკლსელთა მიღწევების დონეს. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.

ინდიკატორი 2.2.2.5 შესაბამისობაშია

6 . სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს და გეგმავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას: პედაგოგიური საბჭოს ოქმებს, კათედრის ოქმებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მონაცემები და მტკიცებულებები სკოლაში კანონის შესაბამისი ვადებით ინახება.

ინდიკატორი 2.2.2.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეების ნამუშევრები.
სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი

შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი.

1. საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;

2. თვითშეფასების კითხვარი;

3. დანართი 4 - პედსაბჭოს ოქმი;

4. დანართი 108 - კათედრის ოქმი;

5. დანართი 124 - შეფასების რუბრიკები;

6. დანართი 14 - პედსაბჭოს ოქმი;

7. დანართი 151 -ვიზიტი;

8. ინტერვიუ პედაგოგებთან;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებებზე დაფუძნებით გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო.

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი მაქსიმალურად მიმართულია მიმღებლობისა და მხარდამჭერი გარემოს შექმნისაკენ. მნიშვნელოვანია მასწავლებელმა შექმნას პოზიტიური გარემო, სადაც მოსწავლეები სასწავლო პროცესში ხალისით ჩაერთვებიან. გაანალიზებენ და გადაჭრიან მათ წინაშე დასმულ ამოცანებს. პატივს ცემენმოსწავლეთა აზრს და აქტივობის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მათ შესაძლებლობებს. მასწავლებელებს შორის არის: თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა. სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი პროცესი რომელიც მიმდინარეობს თანამშორმლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით, მიმღებლობის და ღიაობის მტკიცებულებაა. მასწავლებლები საუბრობენ კონკრეტული ფაქტებით სკოლაში მხარდამჭერი გარემოს არსებობაზე .

ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია

2. სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლა კარგად აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და სკოლა ვალდებულია პროცესები წარმართოს მასზე ორიენტირებულად. მაგალითად: შესთავაზოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული კომპლექსური დავალებები, მისი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიოს თემები სადამრიგებლო საათის თუ საგაკვეთილო პროცესის ფარგლებში. ხელმძღვანელმა სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებთან ერთად შეადგინოს ქცევის წესები, რომელიც თვალსაჩინო ადგილას იქნება გამოკრული და მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა ყოველდღიურად გადახედონ ამ წესებს. სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულობის ხარისხი, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა ინტერესების გამოსავლენი კითხვარებისშედგენას მშობლებისათვის.

ინდიკატორი 2.2.3.2 შესაბამისობაშია

3. გამოიკვეთა, რომ სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. რაც გამოიხატა კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. სკოლის ყველა მასწავლებელს აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. თითოეული მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეების მაღალი აკადემიური შედეგებისა და თვითრეგულირებადი დისციპლინისთვის. პედაგოგები რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ჩართული არის დაწყებითი განათლების USAID საბაზისო განათლების პროექტში, რომლის მთავარი მიზანია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება დაწყებით საფეხურზე. ამ მიზნით სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, სადაც მასწავლებლები მსჯელობენ, განიხილავენ და გეგმავენ დიფერენცირებულ და კონსტრუქტივისტულ გაკვეთილებს, თუ როგორ უნდა ჩაერთოს თანაბრად ყველა მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში . სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად.

გადაწყვეტილების მიღებაში სკოლა არ არის მიკერძოებული და მოსწავლისა და მშობლის მაღალი ჩართულობა დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხსა და მათ პიროვნულ განვითარებაზე. სასწავლო წლის დასაწყისში შედგენილ გეგმებში გამოცდილების გაზიარების მიზნით მასწავლებლები შემდეგ აქტივობებს ითვალისწინებენ: ინტეგრირებული გაკვეთილები, ურთიერთდასწრება და უკუკავშირი, საგნობრივი შეხვედრები, რესურსების ერთობლივად შექმნა, კონფერენციები, სასკოლო ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების დაგეგმვა.

ინდიკატორი 2.2.3.3 შესაბამისობაშია

4. კათედრას გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების იდეების, ღონისძიებების შერჩევა-დაგეგმვაში; სადამრიგებლო საათის თემატიკის შერჩევაში; ზრუნავენ ერთმანეთზე; პატივს სცემენ სხვების აზრს; შეუძლიათ კონფლიქტის მართვა. სკოლის რეალობაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასკოლო თუ საკლასოგარემო. სკოლაში გამართულია ინფრასტრუქტურა. მუშაობს უსაფრთხოების სისტემები. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. კათედრაზე მიაჩნიათ, რომ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, შექმნილია პოზიტიური გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობაა. მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების იდეების, ღონისძიებების შერჩევა-დაგეგმვაში; სადამრიგებლო საათის თემატიკის შერჩევაში; ზრუნავენ ერთმანეთზე; პატივს სცემენ სხვების აზრს; შეუძლიათ კონფლიქტის მართვა. სკოლის რეალობაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასკოლო თუ საკლასო გარემო.სკოლაში გამართულია ინფრასტრუქტურა. მუშაობს უსაფრთხოების სისტემები, სკოლა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით პოზიტიური კლიმატის უზრუნველსაყოფად. მასწავლებლები ქმნიან გაკვეთილზე ისეთ გარემოს, რომელშიც მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია აზრის გამოთქმა და მის აზრს, შეხედულებას თუ პოზიციას პატივისცემით ეპყრობიან. მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა ხშირად ეწყობა სკოლის შენობის სხვადასხვა ნაწილში. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები.

ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასება

საგნობრივი კურიკულუმები

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკასასკოლო სასწავლო გეგმა
კათედრის შეხვედრის ოქმი;
მასწავლებლებთან ინტერვიუ;

სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალები;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კურიკულუმს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.სკოლას შემუშავებულიაქვს გაკვეთილებზე დასწრების გრაფიკები, უკუკავშირები შესაბამისი რეფლექსიებით, ხორციელდება ფასილიტაცია.მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. ჯგუფის წევრები მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. კათედრაზე საგნის მასწავლებლები ურთიერთდასწრების დროს უწევენ ერთმანეთს მონიტორინგს და აფასებენ გაკვეთილის ყველა აქტივობას. ეს მათი მხრიდან აღქმულია არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად.

უკუკავშირები ხდება შესაბამისი რეფლექსიებით, ხორციელდება ფასილიტაცია საჭიროებისამებრ. მაგ. საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრაზე მასწავლებლები ურთიერთდასწრების დროს უწევენ ერთმანეთსმონიტორინგს და აფასებენ გაკვეთილის ყველა აქტივობას.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია

2. სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი. ამ მიზნით სკოლას აქვს გამოცდილება მასწავლებელთა ურთიერთდასწრებისა და შესაბამისი უკუკავშირის მიწოდებისა. სკოლას აქვს გამოცდილება, როდესაც კათედრის თავმჯდომარე უზრუნველყოფს დასწრების გრაფიკების შედგენას, ჩატარებული გაკვეთილებისა და განხორციელებული აქტივობების ეფექტიან უკუკავშირს, რაც თავის მხრივ წამოჭრილი სირთულეების დაძლევაზეა ორიენტირებული. პრაქტიკის დემონსტრირებისათვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ხარისხის განვითარების ჯგუფი ურთიერთდასწრების გრაფიკის შესაბამისად ესწრებოდა გაკვეთილს, რის შემდეგაც მასწავლებელმა მიიღო ჩატარებული გაკვეთილის უკუკავშირი, რასაც გაითვალისწინებს მომავალ საქმიანობაში. ახალსასკოლო კურიკულუმში სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების უფრო

მოქნილი და დახვეწილი მექანიზმის შექმნას, ხარისხის ჯგუფის თანმიმდევრული მუშაობის უზრუნველყოფას, რომლის პრიორიტეტი თითოეული მასწავლებლის პროფესიული ზრდა-განვითარება იქნება.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია

3.. სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლას აქვს პრაქტიკა პედაგოგები გაეცნონ შეფასება/მონიტორინგის შედეგებს, მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი საკუთარი და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ, ერთობლივი ძალებით გამოასწორონ აღმოჩენილი ხარვეზები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში .

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგის და შეფასების პროცესის მთავარი მიზანია დასახოს სწავლების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზები. რადგან მათი მიზანია აღზარდონ თავისუფლად მოაზროვნე, კონკურენტუნარიანი, პრობლემურ სიტუაციაში თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები, ამისათვის მასწავლებლები იყენებენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს, სტრატეგიას, აქტივობებს, ზრუნავენ მოსწავლეთა მოტივაციისგაზრდაზე, ცდილობენ დაანახონ მოსწავლეებს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის კავშირი.

ინდიკატორი 2.3.1.3. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება დონეების მიხედვით

სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

სასკოლო სასწავლო გეგმა

დანართი 13 - ხარისხის განვითარებისა და მართვის ჯგუფი;

დანართი 34 - ურთიერთდასწრების განრიგი;დანართი 137 - გაკვეთილის რეფლექსია;

დანართი 6 - ნომერი 12 დოკუმენტი საგნების მიხედვით;ინტერვიუ მასწავლებლებთან;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას აქვს მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები. სკოლაში მასწავლებლები ძირითადად იყენებენ განმავითარელი შეფასების სხვადასხვა ფორმას. იციან როგორ გამოიყენონ შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემები სწავლისა და სწავლების გასაუმჯობესებლად.

თითოეული მასწავლებელი ცდილობს შეფასებების რუბრიკების შემუშავებისასდაეყრდნონ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები დაინტერესები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთის მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და, მეორეს მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. რადგან მოსწავლეები ეტაპობრივად იღებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა წინსვლაზე, გამოკვეთს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც უფრო ნათლად დაანახებს მოსწავლის შედეგსა და პროგრესს.

ინდიკატორი 2.3.2.1. შესაბამისობაშია

2.. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვირვება იძლევა წარმოდგენას, რომ კათედრას აქვს გამოცდილება, გააანალიზოს, თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას; რამდენადაა პრაქტიკის ამ შეფასების ძირითადი მიზანი, ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლას და განვითარებას. სკოლის პრაქტიკაა, რომ განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესში, მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ დაადგინონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები. ზოგიერთ საგანში მასწავლებელს თვითონ აქვს შემუშავებული

ინდივიდუალური შეფასების რუბრიკა. ასევე ხორციელდება სსსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასება. ახალ კურიკულუმში

დიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან. კლასებში აგრეთვე დანერგილია თანატოლების ურთიერთშეფასება, რომელსაც სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის ე.წ. „შუქნიშნებით“ ახორციელებენ.

ინდიკატორი 2.3.2.2. შესაბამისობაშია

3... კურიკულუმის შეფასების პროცესში სკოლა გეგმავს გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. კერძოდ, კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილი/ დანერგილი გაკვეთილები და მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილებისანალიზი. კათედრას გამოყენებული აქვს ელექტრონული კითხვარი მშობლებისათვის, რომელიც ეხებოდა შეფასების კომპონენტებს. მშობლებმა დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრებები, რომლითაც დადგინდა, რომ მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია

4. შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. სკოლის თვალთახედვით შეფასების მიზანია მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, რათა ყველა ჩართულ მხარეს: მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს და დირექტორს ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა ტიპის დახმარება ან წახალისება სჭირდება მოსწავლეს, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, დადგინდეს სწავლა-სწავლების ტენდენციები, როგორც ცალკეული კლასის, ასევე ზოგადად, სკოლის დონეზე. ახალ კურიკულუმში იგეგმება ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. მოსწავლის სწავლის შედეგების გაუმჯობესების კუთხით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მის ინფორმირებულობას და ჩართულობას. სსსმ მოსწავლეები ფასდებიან განსხვავებული ინდიკატორებით შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ სრულ სურათის შესაქმნელად, როგორიცაა, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები, საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლის აქტიური ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში, რომლისგამოცდილება სკოლას აქვს (დამადასტურებელი მასალა ატვირთულია სკოლის facebook გვერდზე.) მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესონ მშობელთა ჩართულობის ხარისხი.

ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები

განმავითარებლი და განმსაზღვრელი შეფასება

სკოლის თვითშეფასების ფორმა
ინტერვიუ მასწავლებლებთან;

დანართი 114 - კვლევა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება;
სასკოლო სასწავლო გეგმა
კათედრებზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები
მასწავლებელთან ინტერვიუ

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა დაშეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. ფაქტია, რომ სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე დაადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა გადაჭრა არსებითად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. სკოლის კურიკულუმის განვითარებისათვის კათედრა გეგმავს მონაწილე ყველა პირმა იზრუნოს კურიკულუმის განხორციელების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გზების ძიებაში მიღწეული გამოცდილების გაზიარებაზე. ამისათვის აწარმოებენ მონიტორინგს, გააანალიზებენ შესაბამის რეფლექსიებს, რის საფუძველზეც დაგროვდება გარკვეული გამოცდილება და რომელსაც გამოიყენებენ მომავალ სასწავლო წელს, როგორც სარეკომენდაციო პაკეტს.

ინდიკატორი **2.4.1.1.** შესაბამისობაშია.

2.. სკოლა გეგმავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებული იყოს კურიკულუმის რევიზიის პროცესში. მათი ხედვით, მიმდინარე კურიკულუმი ნაწილობრივ ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შექმნილია მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისას გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით. წლის მანძილზე მასწავლებლები კომპლექსური დავალებების დასრულებისას მოსწავლეების ნაშრომის შეფასებას ახდენდნენ შეფასების სქემით -სოლო ტაქსონომიით და ამის შემდეგ გეგმავდნენ სამომავლო ნაბიჯებს. ფიქრობენ, რომ ახალ კურიკულუმში მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიების დანერვის შემდეგ გაიზრდება წინარე გამოცდილების გაზიარების ხარისხი. განსაკუთრებით შეეცდებიან კურიკულუმის გამდიდრებას რესურსებით, კონტექსტ მაგალითებით. სკოლა საუბრობს მასზე, რომ განხორციელებული კურიკულუმის შედეგების ანალიზი და რევიზია იძლევა საშუალებას ახალი სასწავლო წლის კურუკულუმებში მოახდინონ კომპლექსური დავალების მოდიფიცირება, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. ამით შექმნან შესაძლებლობა, რომ ყველა მოსწავლე ჩასწვდეს კომპლექსური დავალების არსს, გაიუმჯობესოს საპრეზენტაციო უნარები, მათმიერ შექმნილი პროდუქტი უფრო ესთეტიკური, შინაარსობრივად მრავალფეროვანი იყოს. ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისასგავითვალისწინებთ რომ კომპლექსურმა დავალებებმა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას სკოლაში მიმდინარე პროცესები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები იქნება ციკლური, რაც თანხვედრაში უნდა მოვიდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან სამოქმედო გეგმასთან. ინდიკატორის

ინდიკატორი **2.4.1.2.** შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საკოლის თვითშეფასების ფორმა სასკოლო კურიკულუმების ჩარჩოებითვითშეფასების კითხვარი;

ინტერვიუ მასწავლებლებთან

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი **2**	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.1** კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.2** კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.3** კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.4** კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საბაზო საფეხური (ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე)

II. ავტორიზაციის მე-**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1 კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სკოლას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მისცემს სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. იგი გაწერილი და წარმოდგენილია კურიკულუმის განვიტარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიურ დოკუმენტში. ასევე სკოლის მიერ შექმნილ და განხორციელებულ ღონისძიებებსა თუ მექანიზმებში, სადაც სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება იკითხება. მაგალითად, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურებების შეთავაზებები; მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში; თანმდევი ღონისძიებების განხორციელება; საგნობრივი კათედრების მიერ შესაბამისი მიმართულებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა საკითხების განხილვა კათედრების მიერ; შემაჯამებელი დავალებების ანალიზის შემუშავება; ასევე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები. ისევე როგორც

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული.

სკოლას მიეცა **რჩევა-** მეთოდოლოგიაში დააკონკრეტოს აქტივობები, მათზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით.

ინდიკატორი **2.1.1.1** შესაბამისობაშია

2.. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ახლადშემუშავებულ კურიკულუმში გამიზნულიურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ნაყოფიერი ჩართულობა, სხვადასხვა

პროექტის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება, გასვლითი გაკვეთილების გამოცდილება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. სკოლის სამომავლო გეგმები, საკუთარ პრაქტიკაში დახვეწოს მექანიზმები დასისტემატურად გამზადდეს შესაბამისი დოკუმენტები, უპირობოდ გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები სწავლა- სწავლებაში, კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვაში, რაშიც უმნიშვნელოვანესადაა გააზრებული სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესთა თანხვედრა.

გასაუბრებისას ირკვევა რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ითვალისწინებდნენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ინტერესების სფეროს, გამოცდილებას. აღნიშნეს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების შესაქმნელად დაგეგმილი აქტივობები ეფუძნება მოსწავლეთა შესაძლებლობებს, გამოცდილებას და უკუკავშირს. მათი როლი წამყვანია კურიკულუმის განვითარებაში. ამიტომ შედგენის პროცესში ეყრდნობიან მასწავლებლის მიერ წლის მანძილზე განხორციელებულ რეფლექსიებს, მიგნებებს და სასწავლო პროცესის ანალიზს.

ინდიკატორი **2.1.1.2** შესაბამისობაშია

3... სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიასა“ და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის რეფლექსიასა და თვითრეფლექსიას. სკოლა საუბრობს, რომ აღნიშნულ კურუკულუმზე მუშაობის პროცესში მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებენ ერთმანეთს შეხედულებებს და მსჯელობენ სწავლა-სწავლების მდგრადობაზე და კლასების სუსტ და ძლიერ მხარეებზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილებების ადაპტირება. კურიკულუმებს ქმნიან კლასების მიხედვით,

მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მოსწავლეებისა და მასწავლებლების თვითშეფასებებისსაფუძველზე. 2023-24 წლის სასკოლო კურიკულუმში გეგმავენ მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავებსა. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის შემუშავებაში კანონზე დაფუძნებით მონაწილეობას მიიღებს სკოლის დირექტორი. ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სრულყოფილ კურიკულუმს დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

ინდიკატორი **2.1.1.3** შესაბამისობაშია

4.. საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები, ამ ეტაპზე, გაზიარებულია მასწავლებელთათვის. აქვე იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებული და არჩეულია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, სადიაგნოსტიკო შეფასებისათვის პირველი ინსტრუმენტი. კათედრაზე მასწავლებლებს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე დაფუძნებული სწავლა–სწავლების სიკეთეები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. სკოლა გეგმავს, მას შემდეგ, როცა მომდევნო სასწავლო წლის სექტემბრიდან სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმი შეიქმნება, იგი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გასაჯაროვდება მეტად ფართოდ. ამისათვის გამოყენებული იქნება მშობელთა კრებები; სკოლის სოციალური გვერდი, როგორც მშობლების, ასევე მთელი სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური

ინფორმირებისათვის; ასევე მშობლის ბარათები, სადაც ნათლად ჩანს კომპლექსური დავალების პირობა, შესრულების ვადები და შედეგები. კურიკულუმის საბოლოო ვერსია განთავსდება სკოლისვანდრაივზე, რომელზე ხედვაც სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს.

ინდიკატორი **2.1.1.4**. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები

სტატუსის მაძიელბლის სკოლის თვითშეფასების ფორმა.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

2022-2023 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა

;საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის სამუშაო გეგმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირებისმოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა დაგანვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალურიფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. VII, VIII და IX კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები: სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეა, როდესაც კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლება.

საბაზო საფეხურზ, ყველა საგანში, სკოლას აქვს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტებისა და კომპლექსური დავალებების ბარათის შემუშვებისა და გამოყენების პრაქტიკა. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. ამ თვალსაზრისით კათედრებზე არსებობს რა კომპლექსური დავალებების სწავლების პრაქტიკული

გამოცდილება, კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების მიხედვით,

მკაფიო ხდება, რომ იგეგმება კომპლექსურის დანერგვა თითოეულ კლასში. შესაბამისად, სწავლებისას ისინი ითვალიწინებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმილი კომპლექსურებით უზრუნველყოფს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას საგანში.

წარმოადგინა საბაზო საფეხური კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც ესგ-ს შესაბამისად გაწერილია თემები, თემასთან დაკავშირებული საკითხები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, რომელთა გააზრებაც მოსწავლეზე ორიენტირებულიშედეგის მიღწევის წინაპირობაა, თუმცა არ აღინიშნება სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება, რაც იქნებოდა აღნიშნულიმიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება. მე-7 და მე-8 კლასებში გაწერილია მხოლოდ ერთი კომპლექსური დავალებისიდეა, ხოლო მე-9-ში ორი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ჯერკიდევ სამუშაო ვარიანტია, რომელიც სექტემბრისთვის დაიხვეწება, გასწორდება და შეივსება სრულყოფილად. გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ როგორ მოარგონ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები,მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს და დააკავშირონ საგნობრივი სტანდარტითგანსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან.

კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებსაც სკოლა განიხილავს, როგორც შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებად, ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის. გარდა ამისა, სკოლას გაწერილი აქვსსსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან კომპლექსური დავალებების რაოდენობის გაზრდას , რაც განაპირობებს მოსწავლეთა კიდევ უფრო აქტიერ ჩართულობას.

ინდიკატორი **2.1.2.1** შესაბამისობაშია

2.. საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას, მოსწავლის წინარე ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლას ახალი ცოდნის აღმოჩენამდე. შუალედური და გრძელვადიანი უნარების განვითარებით, მოსწავლეთა წინარე ცოდნათა გააქტიურებით, ახალი ცოდნის დაშენებითა და ამ ცოდნის ცხოვრებასთან ტრანსფერით, საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირდება განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, რაშიც ასევე გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული დავალებები. ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. ფაქტია, სკოლას გრძელვადიან მიზნებსა და ფუნქციურ–კომპონენტური უნარების გაკვეთილზე უზრუნველყოფის კარგი გამოცდილება აქვს, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა არაფორმალური განათლების მიზნით ჩაბმული იყო პროექტში „ . მოსწავლეებმა შეძლეს ბუნების გაკვეთილზე მიღებული ცოდნის ტრანსფერი , კერძოდ: სკოლის ეზოში გააშენეს ხეივანი და ზრუნავენ მასზე რასაც კვლავ ნერგავს მომავალში. მაგალითად, ამ უნარების ჩამოყალიბება საბაზო საფეხურზე ხდება, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე მოსწავლეების საკლუბო,

საწრეო, პროექტული მუშაობის დროსაც. იგი მათ ეხმარებათ მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი ცხოვრებისეულ ეპიზოდებსა თუ კონტექსტებში. მასწავლებლების აქტიურად არიან ჩართული STEM პროექტებში. ფორმალურ განათლებასთან ერთად, ისინი არაფორმალურ განათლებასაც მიმართავენ. მათ განხორციელეს შემდეგი პროექტები: „„სიკეთე გადამდებია"; ასევე ლიტერატურული საღამო– „ერთი დღე დოჩანაშვილთან –ხელი არა, მაგრამ სული შევამინდე ლიტერატურას".

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ყველა მასწავლებელი აქტიურად ჩაერთო და განახორციელა STEM პროექტი- „დაბალანსებული კვების მნიშვნელობა და მოზარდები"(მე-8 კლ). განხორციელდა სასკოლო პროექტი „გარემო ჩემი სახლია", სადაც ჩართული იყო სამივე საფეხურის მოსწავლეები დამთელი სასკოლო საზოგადოება, მათ შორის აქტიურად იყო ჩართული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაც. საბაზო საფეხურის მოსწავლეებში ჩატარდა ვიქტორინა „ვინ უკეთ იცნობს და იყენებს ჯანსაღი ცხოვრების წესს", ფორმალურ განათლებასთან ერთად, მიმართავენ არაფორმალურ განათლებასაც. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლასა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, სადაც ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში უნივერსიტეტმა აიღო ვალდებულება მხარი დაუჭიროს სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებაში და ექსპერიმენტების წარმართვაში უნივერსიტეტის შესაბამისი ლაბორატორიების (საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ლაბორატორია;)გამოყენებით.

სკოლას მიეცა **რჩევ**ა: კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციოს აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვროს თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.

ინდიკატორი **2.1.2.2** შესაბამისობაშია

3.. კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, კომპლექსური დავალები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. საბაზო საფეხურზე სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, რაც მკაფიოდ იკითხებასამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით.

რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომებს, ასეთ მოსწავლეებთან მუშაობაში აქტიურად არის ჩართული სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლეებისათვის, საგნების მიხედვით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სწავლება ხორციელდება აღნიშნული გეგმების შესაბამისად. რის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში, სსსმ მოსწავლის შუალედური მონიტორინგის დოკუმენტი, ინდ გეგმის დანართიმოდიფიცირებული კომპლექსური დავალებით.

სკოლას მიეცა **რჩევა** : მოსწავლეებს შესთავაზოს მათზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

ინდიკატორი **2.1.2.3** შესაბამისობაშია

4. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები,რაც საბაზო საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც 2023=2024 სასწავლო წლის გეგმის პროექტში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით კათედრა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. სადიაგნოსტიკო შეფასებად პირველი ინსტრუმენტი აქვს შერჩეული, რითაც აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. თუმცა სკოლას საბაზო საფეხურზე ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: ზეპირმეტყველების, მსჯელობის, ჩართულობის, ჯგუფურ მუშაობაში თვითშეფასების სქემა, ინფორმაციის მოძიების, დამოუკიდებელი მუშაობის, წერითი სამუშაოს შესრულების, მოსწავლეთა თვითშფასების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, დისკუსიის და სხვა. კათედრა გეგმავს შესწავლილი თემის შესაბამისად განმსაზღვრელი რუბრიკის შემუშავებას.

2.1.2.4 შესაბამისობაშია

5.. სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. სკოლა ამავდროულად გეგმავს, შემდგომში მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და გააზიაროს კურიკულუმის დანერგვის პროცესები, რათა უფრო ეფექტური გახდეს წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება, გათვალისწინებული და რეალიზებული იქნას კომპლექსური დავალების პირობისა და დაფარვის ეტაპებზე განსაზღვრული აქტივობების გამოცდილება და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები დააფუძნოს ე.ს.გ.-ით გათვალისწინებულ საგნობრივ სტანდარტებს და ამ ყველაფერს მისცეს ციკლური ხასიათი. ამ მიმართულებით, სკოლას აქვს გამოცდილება, რომ საბაზო საფეხურის პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე პერიოდულად განიხილოს განხორციებული კომპლექსური დავალების შედეგების ანალიზი, რომელიც კონსტრუქტივისტული პრინციპებით სწავლებას ნიშნავს, ასევე გულისხმობს მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას, რომელიც დაფუძნებულია წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მასზედ ახალი ცოდნისკონსტრუირებაზე. მასწავლებლები საუბრობენ საკუთარი პრაქტიკის გაზიარების, უკუკავშირის, რეფლექსიის, კოლეგების გამოცდილების გაზიარების კურუკულუმების, სასწავლო პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, თუ სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების შესრულების შესახებ.

ინდიკატორი **2.1.2.5** შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნბრივი კურიკულუმების ჩარჩოები

.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები(ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის);კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები (VII- IX);

შემაჯამებელი დავალების ანალიზი ბიოლოგიაში;

STEM პროექტი „ დაბალანსებული კვების მნიშვნელობა და მოზარდები“ (მე-8 კლ).პროექტი “დედაენა;
პროექტის “სიკეთე გადამდებია” გეგმა და რეფლექსია;სასკოლო პროექტი „გარემო ჩემი სახლია’’;
ვიქტორინა „ვინ უკეთ იცნობს და იყენებს ჯანსაღი ცხოვრების წესს’’-რეფლექსია;

„სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია’’;ბიოლოგიის მასწავლებლის ინდ. სამოქმედო გეგმა;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ქიმიაში (IX);

თვითშეფასების კითხვარი; შეფასების რუბრიკები - ზოგადი;

მასწავლებლებთან ინტერვიუ;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული დაპირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით. მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმები, სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი საკითხები თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები. მაგ, „გარემო ჩემი სახლია“, „დედაენა“, „სიკეთე გადამდებია“, ლიტერატურული საღამო“ ერთი დღე დოჩანაშვილთამ – ხელი არა , მაგრამ სული შევაწმინდე ლიტარატურას“, კლუბის „სიხარული სულის ჯანმრთელობაა“ ფუნქციონირება – მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის წარმოსაჩენად. თუმცა სკოლის თვალთახედვით, სასწავლო პროცესში მოსწავლეების ავტონომიურობა და აქტიურიშემოქმედებითი ჩართულობა, მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩარტულობას უზრუნველყოფს, რისთვისაც საგაკვეთილო პროცესში ისეთი ტიპის აქტივობების გამოყენების პრაქტიკაზე საუბრობენ, რაც მოსწავლის დამოუკიდებლობას და არჩევანის გაკეთებას უწყობს ხელს. მით უფრო საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს სასწავლო წლის დასასრულს აქვთ თავისუფალი ნების გამოხატვის საშუალება. წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა მხატვრული და ფოლკლორის წრეები, რომლებშიც მოსწაავლები აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ახორციელებდნენ. გამოცდილებაზე დაყრდნობით, სკოლა გეგმავს საგნობრივი წრეების განახლებას.

ინდიკატორი **2.2.1.1** შესაბამისობაშია

2.. საბაზო საფეხურზე სკოლას ისე აქვს კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა,/ თემატური ბლოკები, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსურიბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა- სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ამ ყოველივეს უზრუნველსაყოფად სკოლას მიაჩნია, რომ რელევანტურია ისეთი აქტივობების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, როგორებიცაა:

გონებრივი იერიში, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ხუთი თითის სქემა, მოლოდინების ღრუბელი, გმირის რუკა და სხვა, ამიტომ სასწავლო პროცესი უწყვეტია და კონსტრუირებული. მათი ხედვით, საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. სამომავლოდ კათედრები გეგმავენ გააგრძელონ ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით და მომავალი წლის კურიკულუმში სასწავლო პროცესისა და პროდუქტის დიფერენცირებზე ორიენტირებული სტრატეგიების დანერგვა უზრუნველყოს, რაშიც ერთ–ერთ ინსტრუმენტად მეთოდური ლიტერატურის გაცნობა და კოლეგების გამოცდილების გაზიარება ესახებათ. მასწავლებლები აღნიშნავენ , რომ დიდი მნიშვნელობა აქვს რამდენად სწორად იაზრებენ კურიკულუმის თემატური დაგეგმვის მნიშვნელობას. თვლიან რომ თემა უნდა იყოს მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებასა და გააზრებაში. ამიტომ ფიქრობენ რომ კომპლექსური ბუნების დავალებებით და სასწავლო პროექტებით მუშაობის დროს კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობ ფაქტს უნდა წარმოადგენდეს. კურიკულუმებში ჩანს, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ახსნას ნაცნობი მოვლენა.

ინდიკატორი **2.2.1.2** შესაბამისობაშია

3.. კურიკულუმებში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში.

კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. შესაბამისი მიგნებები კათედრას სანიმუშოდ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასადა შეფასების რუბრიკებში აქვს წარმოდგენილი. სკოლა საუბრობს, კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მნიშვნელობაზე. მიაჩნია, რომ ახალ კურიკულუმშიმოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ანალიზის საფუძველზე სწავლის სწავლების ახალი თანმიმდევრული სტრატეგიების შემუშავება, რაც სასკოლო სივრცეში დემოკრატიული ღირებებულებების დამკვიდრებისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი წინაპირობა იქნება, სწავლის სწავლზე აქცენტების დასმას უზრუნველყოფს, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის ,ქიმიის, ბიოლოგიის) მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სწავლა- სწავლებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი პედაგოგიური საქმიანობის საყრდენს წარმოადგენს. საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მისი მიღწეული შედეგი, მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა ასწავლა მასწავლებელმა, არამედ ის, თუ რა ისწავლა მან და როგორ გამოიყენებს ყოველდღიურ პრაქტიკაში. ამ უნარების განვითარებაზე მუშაობენ მუდმივად. ყოველი მოსწავლის შესრულებული

დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლევა საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რახელიშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რას შეცვლიდა თავიდან რომ გეგმავდეს და სხვა.საუბრისას აღნიშნეს , რომ ამ მიმართულებით კვლავაც გააგრძელებენ მუშაობას მომავალში.

ინდიკატორი **2.2.1.3** შესაბამისობაშია.

3. სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. სკოლა მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებისათვის იყენებს სოლო ტაქსონომიას, ცდილობს ისე დაგეგმოს გაკვეთილები, რომ გაითვალისწინონ მაღალი და დაბალი დონის სააზროვნო კითხვები, სადაც დეკლარაციული, პროცედურულიდა პირობისეული ცოდნებით იქნება გააქტიურებული. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას სკოლა ასევე წარმოგვიდგენს არაფორმალური სწავლებისას, რაც ვიზიტისას დაადასტურა კათედრამ. პედაგოგები გეგმავენ, რომ სამომავლოდ შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რასაც საფუძვლად დაედება კომპლექსური დავალებებით სწავლება.

ინდიკატორი **2.2.1.4** შესაბამისობაშია.

5. სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერწარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. ამისათვის სკოლა გეგმავს, კურიკულუმში გაითვალისწინოს და შეიმუშაოს ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც მოახდენს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. რისთვისაც გარდა კომპლექსური დავალებების განხორციელებისა, გეგმავს პროექტით სწავლებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ ჩატარებული ლიტერატურული საღამო- ერთი დღე დოჩანაშვილთან „ხელი არა, მაგრამ სული შევაწმინდე ლიტერატურას“ საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ განხორციელდა პროექტი „ დაბალანსებული კვების მნიშვნელობა და მოზარდები ‘’, ვიქტორინა „ვინ უკეთ იცნობს და იყენებს ჯანსაღი ცხოვრების წესს’’, აქტიურად მიიღეს მონაწილეობა სასკოლო პროექტში „გარემო ჩემი სახლია’’...

2.2.1.5 შესაბამისობასია**.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები-საბაზო საფეურისკოლის თვითშეფასების ფორმა
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
პროექტი „ დაბალანსებული კვების მნიშვნელობა და მოზარდები“ (მე-8 კლ).სასკოლო პროექტი „გარემო ჩემი სახლია'';
ვიქტორინა „ვინ უკეთ იცნობს და იყენებს ჯანსაღი ცხოვრების წესს''-რეფლექსია;მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოდელები; (ადგილზე)
განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები ;(ადგილზე)
საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) აღჭურვილობა;(ადგილზე)
თვითშეფასების კითხვარი;
დანართი 43 - კლუბის სამუშაო გეგმა;
დანართი 102 - პროექტი „ფერმიდან სუფრამდე“; დანართი 146 - კომპლექსური დავალების აღწერები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივსაკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადოაღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კათედრის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი

სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტმაგალითები, რაც გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას. დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე მოეხმარებათ სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის პედაგოგები კლასის ყველა მოსწავლეს დაეხმარებიან კომპლექსური დავალების შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში შეადგენენ მოდიფიცირებული დავალების პირობას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა მკაფიოდ იკითხება პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მასწავლებლებმა აღწერეს საფეხურზე განხორციელებული ერთი კომპლექსური დავალება მიწისძვრის შედეგების ანალიზი, და დეტალურად ისაუბრეს მათი გამოცდილების შესახებ, როგორ აკავშირებენ სწავლა- სწავლების პროცესში სამიზნე ცნებას, მკვიდრ წარმოდგენებს , საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს. მაგალითად, მათემატიკაში კომპლექსური დავალების განხორციელებისას უწევს რეალური სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნა, საჭირო ფორმულების გამოყენება, გამოთვლების შესრულება, მსჯელობა, ანალიზი, დასაბუთება, რაც სამივე სამიზნე ცნების მოდელირება, კანონზომიერება და ლოგიკა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში ეხმარება.

. ინდიკატორი **2.2.2.1** შესაბამისობაშია

2. მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ- ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამისათვის სკოლას საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში აქვს ისეთი სასარგებლო აქტივობები, რომლითაც განავითარებენ სოციალურ უნარებს (თანაგრძნობა, ემპათია, ტოლერანტობა). სკოლა საუბრობს მოსწავლეების სოციალურ პროექტებში ჩართულობაზე, სადამრიგებლო საათებზე, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობ სხვადასხვა ღონისძიებაზე. საბაზო საფეხურზე, სკოლაში უკვე მეხუთე წელია მეცხრე კლასის მოსწავლეებს შექმნილი აქვთ კლუბი „სიხარული სულის ჯანმრთელობაა“ , რომელიც საქველმოქმედო საქმეს ემსახურება. კერძოდ, სოფლისთემში არსებულ მოხუცთა დღის ცენტრში ცდილობენ მოხუცების გახარებას, მხატვრული აქტივობებით დაუვიწყარ დღეს ჩუქნიან მოხუცებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ემპათიის უნარების განვითარებას. კათედრა სამომავლოდ ხედავს საჭიროებას მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით სასკოლო საზოგადოება გააქტიურდეს.

ინდიკატორი **2.2.2.2** შესაბამისობაშია

3.. შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე,რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს

სწავლა/სწავლების პროცესი. შეფასების ჰოლისტურობის მხარდასაჭერად სკოლას აქვს ისეთი აქტივობები და მეთოდები შერჩეული, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი დავალებების გათვალისწინებას, ვერბალურ თუ წერილობით კომენტარებს , შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისათვის გეგმავს გაითვალისწინოს, რომ შეფასების სისტემა უფრო დასახვეწია და შესაქმნელია შეფასების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ფუნქციურ- კომპონენტურ უნარები.

ინდიკატორი **2.2.2.3.** შესაბამისობაშია

4. სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. წარმოდგენილია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრაზე მიაჩნიათ, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა დასანდოობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. და რომ რუბრიკების შემუშავებაში მოსწავლეთა ჩართულობა ზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას ხელს უწყობსმოსწავლეთა მიერ ნამუშევრების ურთიერთშეფასება. სკოლა გამჭვირვალეობას უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით. მათ უნდა იცოდნენ რომელ კრიტერიუმში როგორ შეფასდებიან, ამით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა რეალურად შეაფასონ საკუთარი ცოდნა. სკოლაში საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები ნათელი და გასაგებია, შეფასებები ასახავს მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონეს სათანადო მასალის ათვისებაში. რუბრიკები მოსწავლეებთან ერთად არის შემუშავებული და გააზრებული. შესაბამისად, თითოეულმა მოსწავლემ წინასწარ იცის ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. შეფასება ვალიდურია - შესაბამისობაშია მიზნებთან. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. ამ ეტაპზე მათ აქვთ შექმნილი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც არის ვალიდური, სანდო და ობიექტური. სკოლის ელექტრონული ჟურნალი კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მშობლებს ჰქონდეთ წვდომა შვილების აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნეს, რომ შეფასებები მათ ეხმარებათ იმის გადაწყვეტაში, რომ თუ მოსწავლეს არ შეუძლია მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლა, მასწავლებელმა უნდა შეცვალოს მიდგომები და სწავლების მეთოდები. ფიქრობენ, ეს გასათვალისწინებელია მომავალი სასწავლო წლისთვის. სკოლა გეგმავს დახვეწოს შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია

5- სკოლაშეფასების სისტემის მექანიზმების შემუშავებისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. კათედრაზე საუბრობენ, რომ სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და ამ მექანიზმების გამოყენების გამოცდილება. საბაზო საფეხურზე სკოლას ვერიფიკაციის მნიშვნელოვან მექანიზმად გაკვეთილზე დასწრება, დაკვირვება და შეფასების რუბრიკებითგამოყენება ესახება. ისინი მოსწავლეთა შედეგების შეფასებას მტკიცებულებითა და სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით ახდენენ. ასევე იყენებენ მოსწავლეების მიერ

წარმოდგენილ პრეზენტაციებს, წერით ნამუშევრებს, პროექტების განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკებით შეფასებას. სასწავლო წლის მანძილზე სკოლაში ურთიერთთანამშრომლობისა და აზრთა გაზიარების მიზნით არაერთი გაკვეთილი ტარდება. სკოლაში დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რის საფუძველზეც ითვალისწინებენ ეფექტურ უკუკავშირს. სწავლა-სწავლებისხარისხის გაუმჯობესებაზე დირექციასთან ერთად ფინქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი და სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული.

ინდიკატორი **2.2.2.5**შესაბამისობაშია

6 - სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს და გეგმავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას: პედაგოგიური საბჭოს ოქმებს, კათედრის ოქმებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მონაცემები და მტკიცებულებები სკოლაში კანონის შესაბამისი ვადებით ინახება.

ინდიკატორი **2.2.2.6** შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები-საბაზო საფეურისკოლის თვითშეფასების ფორმა
განმსაზღვრელი და განმავეთარებელი შეფასებისის რუბრიკები

განხორციელებული პროექტების პროდუქტები;(ადგილზე) მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები; (ადგილზე)

საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;(ადგილზე)მე-7 კლ. განხორციელებული კომპლექსური დავალების შეფასება სოლო ტაქსონომიით ბიოლოგიაში;
მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია ქიმიაში;შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი.
კრიტიკული მეგობარი-ურთიერთდასწრების მონიტორინგი(დადგენილება)თვითშეფასების კითხვარი;

დაანართი 4 - პედსაბჭოს ოქმი; დანართი 108 - კათედრის ოქმი; დანართი 124 - შეფასების რუბრიკები;დანართი 14 - პედსაბჭოს ოქმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებებზე დაფუძნებით გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი საათობრივი ბადე. საგნობრივი პროგრამების შინაარსი, რაც გათვლილია მოსწავლეთა პიროვნული ზრდისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ემსახურება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ხოლო მოსწავლეთა შეფასება ხდება როგორც განმსაზღვრელი , ასევე განმავითარებელი კომენტარით. საგნობრივ კათედრებს შექმნილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და იგი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და სპეც.მასწავლებლის რეკომენდაციით მასწავლებლებს აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს უქმნის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. მოსწავლეთა მცირერიცხოვნებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო, მაღალია თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, ეს კი სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. საბაზო საფეხურზე

განსაკუთრებით აქტიურია კომუნიკაცია მშობლებთან, მათთან საუბარი ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. აღნიშნული ასევე გამოიკვეთა პედაგოგებთან საუბარში სკოლაში ვიზიტისას. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შესაქმნელად სკოლა მოსწავლეთა პიროვნული თავისებურებებისა და საჭიროების გათვალისწინებით დიფერენცირებული სწავლების აქტიურად იყენებს, რისი განხორციელება ხდება მოსწავლეთასასწავლო პროფილის, ინტერესებისა თუ მზაობის გათვალისწინებით, რათა შეიქმნას თითოეული მათგანისთვის განვითარების ოპტიმალური პირობები. დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეები იყოფა ჯგუფებად სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მაგალითად ,მზაობის, ინტერესების, სასწავლო პროფილის შესაბამისად. მასწავლებლები სპეციალურ მასწავლებლებთან ერთად ახდენენ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას, რაც შეიძლება შეეხოს პირობას, აქტივობებს, პროდუქტს ან თუნდაც გარემოს.

ინდიკატორი **2.2.3.1** შესაბამისობაშია.

2. სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

საბაზო საფეხურზე პედაგოგები საუბრობენ, რომგათვალისწინებულია ეფექტურად დაგეგმილი გაკვეთილები, კომპლექსური დავალებები, პროექტები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი სხვა ღონისძიებები, რომლებიც მოსწავლეთა დაახლოებას, თანამშრომლობას, პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. სკოლა კარგად აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და

სკოლა ვალდებულია პროცესები წარმართოს მასზე ორიენტირებულად. მაგალითად: შესთავაზოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული კომპლექსური დავალებები, მისი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიოს თემები სადამრიგებლო საათის თუ საგაკვეთილო პროცესის ფარგლებში. სკოლა აქცენტებს სვამს დიფერენცირებული მიდგომების მეთოდოლოგიასა და, აუცილებლობის შემთხვევაში, რემედიაციის დანერგავზე. მაგალითისათვის მოიხმობს საკუთარ პრაქტიკას, როდესაც ერთ თემაზე მიცემული სხვადასხვა ტიპის დავალებებმა მოსწავლესროგორ მისცა საშუალება აირჩია მისთვის საინტერესო და შესაძლებლობაზე მორგებული დავალება. მაგ. მეოთხე კლასში,"ყველაზე კარგი პაპას" შესწავლის დროს მოსწავლეებს მიეცათ სამი ტიპის დავალება: 1) სიტყვის პაპის დახასიათება(თხზულება), 2)გმირის რუკა, 3) პერსონაჟის დახატვა. მოსწავლეებმა კი არჩევანი თავის ინტერესებიდან გამომდინარე გააკეთეს. წარმოდგენილია ინდივიდუალურისასწავლო გეგემაზე მუშაობის პროცესი, ისგ გუნდის ჩამოყალიბების შესახებ ბრძანება, მონიტორინგის დასკვნა, ჩანს როგორ ხდება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური გეგმის შედგენა. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ წლის დასაწყისში მოსწავლეები ერთობლივად შეიმუშავებენ ქცევის წესებს რაც ,ასევე ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციის და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.

ინდიკატორი **2.2.3.2** შესაბამისობაშია

3.. გამოიკვეთა, რომ სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. რაც გამოიხატა კათედრისმიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. იგი გულისხმობს, როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, რისი საუკეთესო პრაქტიკაა ასევე პროექტული სწავლება დაერთობლივად დაგეგმილ აქტივობებში ჩართულობაა.საბაზო საფეხურზე თანამშრობლობის და კომუნიკაციის გამოცდილების დემონსტრირების გარკვეული გამოცდილება არსებობს გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვის, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების მიმართულებით. სკოლის ყველა მასწავლებელს აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. თითოეული მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეების მაღალი აკადემიური შედეგებისა და თვითრეგულირებადი დისციპლინისთვის. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი სკოლაში დამყარებულია კათედრების თანამშრომლობასა და ეფექტურ კომუნუიკაციაზე, დანერგილია ქმედითი და ურთიერთთანამშრომლობაზე, ურთიერთსწავლებაზე აგებული სასკოლო კულტურა. სკოლის ყველა მასწავლებელს აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. მშობლების მაღალი ჩართულობა დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხზე და მათ პიროვნულ განვითარებაზე. კათედრაზე ხდება გაკვეთილების დაგეგმვა. ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილზე დაკვირვება და რეფლექსია. პერიოდულად მასწავლებლები ესწრებიან პროფესიული განვითარების ტრენინგებს და მიღებულ ცოდნას და სიახლეებს მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს. სკოლაში არსებული გამოწვევების გადასაწყვეტად, ჩართულია სრულიად ის გუნდი, რომელსაც სასკოლო საზოგადოება წარმოადგენს. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი განსხვავებულად ხედავს და აფასებს ამ გამოწვევების გადაჭრის გზას. მათ შორის ასეთი თანამშრომლობა და გუნდურობა უზრუნველყოფს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული.

ინდიკატორი **2.2.3.3** შესაბამისობაშია

4.. კათედრებს გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. მიაჩნიათ, რომ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, შექმნილია პოზიტიური გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. საბაზო საფეხურზე პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობაა. მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების იდეების, ღონისძიებების შერჩევა-დაგეგმვაში; სადამრიგებლო საათის თემატიკის შერჩევაში; ზრუნავენ ერთმანეთზე; პატივს სცემენ სხვების აზრს; შეუძლიათ კონფლიქტის მართვა. სკოლის რეალობაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასკოლო თუ საკლასო გარემო.სკოლაში გამართულია ინფრასტრუქტურა. მუშაობს უსაფრთხოების სისტემები, სკოლა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. პოზიტიური კლიმატის უზრუნველსაყოფად. მასწავლებლები ქმნიან გაკვეთილზე ისეთ გარემოს, რომელშიც მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია აზრის გამოთქმა და მის აზრს, შეხედულებას თუ პოზიციას პატივისცემით ეპყრობიან. მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა ხშირად ეწყობა სკოლის შენობის სხვადასხვა ნაწილში. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები. საბაზო საფეხურზე სკოლაში პოზიტიური გარემოს შესაქმნელად როგორც თვითმართველობა, ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა რგოლია ჩართულია, რაც გამოიხატება მრავალფეროვან ღონისძიებებში. ნებისმიერი გაკვეთილიჩვენს სკოლაში ემსახურება მოსწავლეებში თავისუფალი აზრის ჩამოყალიბების უნარების განვითარებას.ეს ხორციელდება როგორც საგაკვეთილო ისე არასაგაკვეთილო პროგრამით. ამ მიზანს ემსახურებოდა ქართული ენის მასწავლებლისაგან ჩატარებული ღონისძიება „ერთი დღე დოჩანაშვილთან“, რომლის მიზანი იყო მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობა. შემოქმედებითი უნარების ინტელექტისა და ღიერბულებების ამაღლება. მასალები იხილეთ დანართში. სკოლაშიკეთილგანწყობილ და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური, სკოლის ექიმი, ახლადდასაქმებული სოციალური გუნდი, კლასის ხელმძღვანელები, რომლებიც შესვენების დროს თავის კლასთან ატარებენ.

ინდიკატორი **2.2.3.4** შესაბამისობაშია
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

გაკვეთილის რეფლექსია ქიმიაში;
პროექტი „დაბალანსებული კვების მნიშვნელობა და მოზარდები’’; ვიქტორინა„ვინ უკეთ იცნობს და იყენებს ჯანსაღი ცხოვრების წესს’;
პროექტი „გარემო ფაქტორების გავლენა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე“,პროექტი “დედაენა’
პროექტის “სიკეთე გადამდებია” გეგმა და რეფლექსია;

კონფერენცია „ქიმია და ჯანმრთელობა“, „ ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი“

კათერის ოქმი

დანართი 136 - ღონისძიებების რეფლექსიები;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კურიკულუმს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად, იგი ფიქრობს, რომ კურიკულუმი არ არის ისეთი დოკუმენტი, რომელიც ერთხელ უნდა შეიქმნას და გამოიყენებოდეს მუდმივად უცვლელი სახით. კურიკულუმის შექმნა დანერგვა ციკლური პროცესია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს. სკოლა აცნობიერებს, რომ მონიტორინგი არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმია, რაც დირეტორის /ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის მიერ/ ხორციელდება. სკოლას შემუშავებულიაქვს გაკვეთილებზე დასწრების გრაფიკები, უკუკავშირები შესაბამისი რეფლექსიებით, ხორციელდება ფასილიტაცია. საბაზო საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. ჯგუფის წევრები მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. კათედრაზე საგნის მასწავლებლები ურთიერთდასწრების დროს უწევენ ერთმანეთს მონიტორინგს და აფასებენ გაკვეთილის ყველა აქტივობას.

რჩევა -სასურველია სკოლამ დასახული მიზნების მისაღწევად პროგრესის თვალყურის დევნებისთვის შეიმუშაოს მონიტორინგის ერთიანი სისტემა, განსაზღვროს ინდიკატორები. ინდიკატორები უნდა ზომავდეს, როგორც პროცესს, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგებს. ცალკეული განსახორციელებელი აქტივობისთვის განისაზღვროს პასუხისმგებელი პირი/პირები და გაწეროს დროში.

ინდიკატორი **2.3.1.1** შესაბამისობაშია

2.. სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას აქვს გამოცდილება მასწავლებელთა ურთიერთდასწრებისა და შესაბამისი უკუკავშირის მიწოდებისა. კათედრაზე საუბრობენ, რომ სამომავლოდ მონიტორინგმა და შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს ახალი გამოწვევებისათვის მზადებას და ახალი შესაძლებლობების დაგეგმვას. ამისათვის კი საჭირო იქნება მრავალფეროვანი და მოქნილი ინსტრუმენტების გამოყენება და შესაბამისი დოკუმენტების ხარისხიანად მომზადება, რომელშიც მასწავლებელთა მიგნებების პარალელურად გავითვალისწინებული იქნება მოსწავლეებისა და მშობლების რეკომენდაციები და ყველა ცვლილება აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. სკოლას აქვს გამოცდილება, როდესაც კათედრის თავმჯდომარე უზრუნველყოფს დასწრების გრაფიკების შედგენას, ჩატარებული გაკვეთილებისა და განხორციელებული აქტივობების ეფექტიან უკუკავშირს, რაც თავის მხრივ წამოჭრილი სირთულეების დაძლევაზეა ორიენტირებული. ახალ სასკოლო კურიკულუმში სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების უფრო მოქნილი და დახვეწილი მექანიზმის შექმნას, ხარისხის ჯგუფის თანმიმდევრული მუშაობის უზრუნველყოფას, რომლის პრიორიტეტი თითოეული მასწავლებლის პროფესიული ზრდა-განვითარება იქნება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი **2.3.1.2** შესაბამისობაშია

3.. სკოლის მიერ განხორციელული სასწვლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოსსკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლას აქვს პრაქტიკა პედაგოგები გაეცნონ შეფასება/მონიტორინგის შედეგებს, მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი საკუთარი და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ, ერთობლივი ძალებით გამოასწორონ აღმოჩენილი ხარვეზები. მასწავლებლები იყენებენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს, სტრატეგიას, აქტივობას. ზრუნავენ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდაზე. ამ მიზნით საბუნებუსმეტყველო კათედრამ განახორციელა პროექტი „გარემო ფაქტორების გავლენა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე“ . მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ყველა წამოჭრილი პრობლემის მოგვარება ხდება ერთიანი გუნდის მიერ. ეტაპობრივად ხდება კურიკულუმის ჩარჩოს გადასინჯვა და მასწავლებლებს საჭიროებისამებრ შეაქვთცვლილებები. სემესტრის ბოლოსსაბუნებისმეტყველო კათედრაზე შეაჯამეს მიმდინარე სასწავლო წლის

კურიკულუმების შესრულების ხარისხი. გამოიკვეთა, რომ კათედრაზე აქტიურად მუშაობენ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის, რასაც ადასტურებს მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები. ყველა კომპლექსური დავალება შესრულდა. ძლიერ მხარედ ჩაითვალა მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა, რადგან წარმოდგენილი იყო ყველა მოსწავლის შექმნილი პროდუქტი, სუსტ მხარედ გამოიკვეთა ის, რომ ნამუშევარი არ იყო მრავალფეროვანი, ეყრდნობოდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ მასალა და პროდუქტის ნიმუშს. სკოლაში მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავენ , მოსწავლეებს შეთავაზონ მრავალფეროვანი ნიმუშები და გამოუმუშაონ კვლევა-ძიების უნარები.

.

ინდიკატორი **2.3.1.3.** შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

გამსაზღვრელი- განმავითარებლი შეფასების რუბრიკებისაგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

2

დანართი 13 - ხარისხის განვითარებისა და მართვის ჯგუფი;

დანართი 34 - ურთიერთდასწრების განრიგი;
დანართი 137 - გაკვეთილის რეფლექსია;

დანართი 6 - ნომერი 12 დოკუმენტი საგნების მიხედვით;

პროექტი „გარემო ფაქტორების გავლენა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე“

კრიტიკული მეგობარი- ურთიერთდასწრების მონიტორინგი*(*დადგენილება*)*
ჩატარებული ღონისძიებების რეფლექსიები**.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას საბაზო საფეხურზე საგანში აქვს მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები, რაც ითვალისწინებს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას დამოიცავს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა მეთოდებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მოსწავლისა და სასწავლო პროცესების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით. სკოლაში მასწავლებლები ძირითადად იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას და განმავითარელი შეფასების სხვადასხვა ფორმას. იციან როგორ გამოიყენონ შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემები სწავლისა და სწავლების გასაუმჯობესებლად. მიმდინარე კურიკულუმი ამ მიმართულებით ეყრდნობა როგორც მასწავლებელთა, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებების, ურთიერთშეფასებების სქემებს, განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების რეფლექსიებს, კათედრათა წლიური მუშაობის ანალიზებს. რადგან მოსწავლეები ეტაპობრივად იღებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა წინსვლაზე, გამოკვეთს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. მშობლები ინდივიდუალურად ეცნობიან შვილების განმავითარებელ შეფასებას, აქედან გამომდინარე მოსწავლეთა მშობლებს შესაძლებლობა ეძლევათ იზრუნონ თავიანთი შვილის შედეგების გაუმჯობესებისათვის. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით კათედრა ერთობლივად დასახავს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს და ასახავს კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში.

ინდიკატორი **2.3.2.1.** შესაბამისობაშია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება იძლევა წარმოდგენას, რომ კათედრას აქვს გამოცდილება, გააანალიზოს, თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას; რამდენადაა პრაქტიკის სრულყოფის, სასკოლო კულტურის განვითარების, სკოლის დეცენტრალიზაციის საშუალება. მრავალი კონტექსტის გათვალისწინებისათვის სკოლაშიგამოყენებულია ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. განმავითარებელი შეფასებით კი თითოეული მოსწავლის სწავლის განვითარების დინამიკა დგინდება. ამ შეფასების ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლას და განვითარებას. სკოლის პრაქტიკაა, რომ განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესში, მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ დაადგინონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები. მასწავლებლები მოსწავლეებს აფასებენ სამი კომპონენტის მიხედვით 1) დამოუკიდებელი დავალება 2) საკლასო დავალება 3) შემაჯამებელი დავალება. საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელ შეფასებას ძირითადად იყენებენ მაშინ, როცა მოსწავლე ცოდნის და უნარების საწყის ეტაპზეა. შემაჯამებელი დავალების შეფასება კი რაიმე თემატური ერთეულის დასრულების შემდეგ ხდება. ზოგიერთ საგანში მასწავლებელს თვითონ აქვს შემუშავებული ინდივიდუალური შეფასების რუბრიკა. ასევე ხორციელდება სსსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასება. ახალ კურიკულუმშიდიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად

იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან. კლასებში აგრეთვე დანერგილია თანატოლების შეფასება. თითოეული მასწავლებელი წლის განმავლობაში ახორციელებს მინიმუმ ორ კომპლექსურ დავალებას, რომელსაც აფასებენ სოლო ტაქსონომიის მიხედვით.

ინდიკატორი **2.3.2.2. შესაბამისობაშია.**

3. კურიკულუმის შეფასების პროცესში სკოლა გეგმავს გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანიმეთოდები. კერძოდ, კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილი/ დანერგილი გაკვეთილები და მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილებისანალიზი. ამ მეთოდებით მიღებული ინფორმაცია გადამუშავდება, გამოვლინდება ცვლილებების საჭიროება და ერთობლივი გადაწყვეტილებით ასახავენ კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეებისშესახებ. მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასებისას მონაცემთა შეგროვებას ახდენენ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებით, მაგრამ ფიქრობენ დახვეწონ ეს მექანიზმი.

ინდიკატორი **2.3.2.3** შესაბამისობაშია

4.. მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. სკოლის თვალთახედვით შეფასების მიზანია მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, რათა ყველა ჩართულ მხარეს: მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს და დირექტორს ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა ტიპის დახმარება ან წახალისება სჭირდება მოსწავლეს, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, დადგინდეს სწავლა-სწავლების ტენდენციები, როგორც ცალკეული კლასის, ასევე ზოგადად, სკოლის დონეზე. სკოლას აქვს პრაქტიკა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებისა. დიფერენცირებული მიდგომების ელემენტების გამოყენება კი მათთვის საშუალებაა, შეფასდეს მოსწავლეთა უნარები, დაისახოს მათი ჰოლისტური განვითარების გზა. ახალ კურიკულუმში იგეგმება ისეთი სტრატეგიების დანრეგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. მოსწავლის სწავლის შედეგების გაუმჯობესების კუთხით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მის ინფორმირებულობას და ჩართულობას. მომავალ სასწავლო წელს კათედრა გეგმავს, კიდევ უფრო გააუმჯობესონ მშობელთა ჩართულობის ხარისხი.

სსსმ მოსწავლეები ფასდებიან განსხვავებული ინდიკატორებით შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ სრულ სურათის შესაქმნელად, როგორიცაა, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, ეთნიკური წარმომავლობა,

ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები, საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე.

ინდიკატორი **2.3.2.4.** შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები**;** თვითშეფასების კითხვარი;
დანართი 114 - კვლევა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება;

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა დაშეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმირეს პროცესში და სასკოლო კურიკულუმისშემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების

შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე დაადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა გადაჭრა არსებითად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. სკოლის კურიკულუმის განვითარებისათვის კათედრა გეგმავს მონაწილე ყველა პირმა იზრუნოს კურიკულუმის განხორციელების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გზების ძიებაში მიღწეული გამოცდილების გაზიარებაზე. ამისათვის აწარმოებენ მონიტორინგს,, გააკეთებენ შესაბამის რეფლექსიებს, რის საფუძველზეც დაგროვდება გარკვეული გამოცდილება და რომელსაც გამოიყენებენ მომავალ სასწავლო წელს, როგორც სარეკომენდაციო პაკეტს.

ინდიკატორი **2.4.1.1.** შესაბამისობასია

2.. სკოლა გეგმავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებული იყოს კურიკულუმის რევიზიის პროცესში. მათი ხედვით, მიმდინარე კურიკულუმი ნაწილობრივ ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შექმნილია მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისას გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით. წლის მანძილზე მასწავლებლები კომპლექსური დავალებების დასრულებისას მოსწავლეების ნაშრომის შეფასებას ახდენდნენ შეფასების სქემით -სოლო ტაქსონომიით და ამის შემდეგ გეგმავდნენ სამომავლო ნაბიჯებს. ახალ კურიკულუმში მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიების დანერვის შემდეგ გაიზრდება წინარე გამოცდილების გაზიარების ხარისხი. განსაკუთრებით შეეცდებიან კურიკულუმის გამდიდრებას რესურსებით, კონტექსტ მაგალითებით. სკოლა საუბრობს მასზე, რომ საბაზო საფეხურზე განხორციელებულ ქართული ენისა და ლიტერაურის კურიკულუმის შედეგების ანალიზი და რევიზია იძლევა საშუალებას ახალი სასწავლო წლის კურუკულუმებში მოახდინონ კომპლექსური დავალების მოდიფიცირება, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. ამით შექმნან შესაძლებლობა, რომ ყველა მოსწავლე ჩასწვდეს კომპლექსური დავალების არსს, გაიუმჯობესოს საპრეზენტაციო უნარები, მათმიერ შექმნილი პროდუქტი უფრო ესთეტიკური, შინაარსობრივად მრავალფეროვანი იყოს. ახალი სასწავლო წლის დაგეგმისასგავითვალისწინებთ რომ კომპლექსურმა დავალებებმა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას სკოლაში მიმდინარე პროცესები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები იქნება ციკლური, რაც თანხვედრაში უნდა მოვიდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან სამოქმედო გეგმასთან.

ინდიკატორი **2.4.1.2.** შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საკოლის თვითშეფასების ფორმა სასკოლო კურიკულუმების ჩარჩოებითვითშეფასების კითხვარი;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საშუალო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საშუალო საფეხური (ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე)

სტანდარტი **2**	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.1** კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი **2.2** კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.3** კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი **2.4** კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-**2** სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 - სკოლას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მისცემს სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. იგი გაწერილი და წარმოდგენილია კურიკულუმის განვიტარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიურ დოკუმენტში. ასევე სკოლის მიერ შექმნილ და განხორციელებულ ღონისძიებებსა

თუ მექანიზმებში, სადაც სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება იკითხება. მაგალითად, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურებების შეთავაზებები; მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში; თანმდევი ღონისძიებების განხორციელება; საგნობრივი კათედრების მიერ შესაბამისი მიმართულებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა საკითხების განხილვა კათედრების მიერ; შემაჯამებელი დავალებების ანალიზის შემუშავება; ასევე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები. ისევე როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმებში, რაც მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული.

სკოლას მიეცა **რჩევა-** მეთოდოლოგიაში დააკონკრეტოს აქტივობები, მათზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით.

ინდიკატორი **2.1.1.1** შესაბამისობაშია

2 სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები,რაც უშუალოდ დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში ამოიცნობა, რომლებსაც თან ახლავს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტი. იკვეთება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ახლადშემუშავებულ კურიკულუმში გამიზნულიურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ნაყოფიერი ჩართულობა, სხვადასხვა პროექტის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება, გასვლითი გაკვეთილების გამოცდილება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. სკოლის სამომავლო გეგმები, საკუთარ პრაქტიკაში დახვეწოს მექანიზმები დასისტემატურად გამზადდეს შესაბამისი დოკუმენტები, უპირობოდ გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები სწავლა- სწავლებაში, კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვაში, რაშიც უმნიშვნელოვანესადაა გააზრებული სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესთა თანხვედრა, აღნიშნული ინდიკატორის დაფარვის შესაძლებლობას გვაფიქრებინებს. მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული მშობელტა თანამშრომლობა, რაც მათთვის მშობლის ბარათის გამოყენების პრაქტიკითა და მშობელთა კრების ოქმების საშუალებით მტკიცდება.

ინდიკატორი **2.1.1.2** შესაბამისობაშია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიასა“ და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის რეფლექსიასა და თვითრეფლექსიას. სკოლა საუბრობს, რომ აღნიშნულ კურუკულუმზე მუშაობის პროცესში მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია, უზიარებენ ერთმანეთს შეხედულებებს და მსჯელობენ სწავლა-სწავლების მდგრადობაზე და კლასების სუსტ და ძლიერ მხარეებზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილებების ადაპტირება. კურიკულუმებს ქმნიან კლასების მიხედვით , მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მოსწავლეებისა და მასწავლებლების თვითშეფასებებისსაფუძველზე. 2023-24 წლის სასკოლო კურიკულუმში გეგმავენ მშობელთა ჩართულობის

უზრუნველყოფაზე ორიენტირებულისტრატეგიის შემუშავება. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის შემუშავებაში კანონზე დაფუძნებით მონაწილეობას მიიღებს სკოლის დირექტორი. ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სრულყოფილ კურიკულუმს დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

ინდიკატორი **2.1.1.3** შესაბამისობაშია

4.. საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები, ამ ეტაპზე, გაზიარებულია მასწავლებელთათვის. აქვე იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებული და არჩეულია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, სადიაგნოსტიკო შეფასებისათვის პირველი ინსტრუმენტი. კათედრაზე მასწავლებლებს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე დაფუძნებული სწავლა–სწავლების სიკეთეები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. სკოლა გეგმავს, მას შემდეგ, როცა მომდევნო სასწავლო წლის სექტემბრიდან სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმი შეიქმნება, იგი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გასაჯაროვდება მეტადფართოდ. ამისათვის გამოყენებული იქნება მშობელთა კრებები; სკოლის სოციალური გვერდი, როგორც მშობლების, ასევე მთელი სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებისათვის; ასევე მშობლის ბარათები, სადაც ნათლად ჩანს კომპლექსური დავალების პირობა, შესრულების ვადები და შედეგები. კურიკულუმის საბოლოო ვერსია განთავსდება სკოლისვანდრაივზე, რომელზე ხედვაც სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს.

ინდიკატორი **2.1.1.4**. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები. კურიკულუმის ჩარჩო მუსიკა/ სახვითი გამოყენებითი ხელოვნებასტატუსის მაძიელბლის სკოლის თვითშეფასების ფორმა

1. შევსებული თვითშეფასების კითხვარი;

2. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

3. მასწავლებლებთან ინტერვიუ;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებისასკოლო სასწავლო გეგმა
სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2022-2023 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა;საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის სამუშაო გეგმა
2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირებისმოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და

განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალურიფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალოსაფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები: სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეა, როდესაც კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლება. საშუალო საფეხურზე სკოლას აქვს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტებისა და კომპლექსური დავალებების ბარათის შემუშვებისა და გამოყენების პრაქტიკა. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. ამ თვალსაზრისით კათედრაზე არსებობს რა კომპლექსური დავალებების სწავლების პრაქტიკული გამოცდილება, კურიკულუმისჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების მიხედვით მკაფიო ხდება, რომ იგეგმება კომპლექსურის დანერგვა თითოეულ კლასში. შესაბამისად სწავლებისას ისინი ითვალიწინებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმილი კომპლექსურებით უზრუნველყოფს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას საგანში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

მათემატიკა-.სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც ესგ-ს შესაბამისად გაწერილია თემები, თემასთან დაკავშირებული საკითხები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, რომელთა გააზრებაც მოსწავლეზე ორიენტირებული შედეგის მიღწევის წინაპირობაა, თუმცა არ აღინიშნება სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება,რაც იქნებოდა აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება. გაწერილია მხოლოდ ერთი კომპლექსური დავალების იდეა მე-10 კლასში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ჯერ კიდევ სამუშაოვარიანტია, რომელიც სექტემბრისთვის დაიხვეწება, გასწორდება და შეივსება სრულყოფილად. გასაუბრებაზე

გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ როგორ მოარგონ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს და დააკავშირონ საგნობრივი სტანდარტით

განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან.

კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებსაც სკოლა განიხილავს, როგორც შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებად, ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის. გარდა ამისა სკოლას გაწერილი აქვ სსსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულიინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანარეობს სავალდებულ პროექტის სახით. 2022- 2023 სასწავლო წელს სკოლას არჩეული პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. სკოლას აქვს წარმოდგენილი პროექტის იდეა, მიზანი, პროექტის ფარგლბში განხორციელებული ეტაპები, პროექტის რეფლექსია, მოსწავლის ნამუშევრები, ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი 2023-2024 წლის პროექტის იდეა მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში , მასწავლებლემა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განხორციელებ პროექტებზე.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა დაგანვითარების გზას. მასწავლებლებს კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის პროცესში შერჩეული აქვთ ექსპერტების მიერმიწოდებული კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა, სადაც ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები, მათმიერ გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები, სულ მცირე იდეის დონეზე მაინც ,რითაც გეგმავენ შუალედური მიზნის მიღწევას და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. კონკრეტულად, წარმოდგენილ ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოში (Xკლასი) თემები, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები, კომპლექსური დავალების იდეები სწორადაა განსაზღვრული, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითი შედარებისთვის სათაურებითაა წარმოდგენილი ხოლო რესურსები მწირია და ზოგადი. მასწავლებელმა მიიღო რჩევა რომ კარგი იქნება კონტექსტ-მაგალითი , მაგალითი შედარებისთვის და საჭირო რესურსები დააკონკრეტოს. რაც შეეხება წარმოდგენილ ბიოლოგიის (X) და ფიზიკის (X)კურიკულუმის ჩარჩოებში ყველა სავალდებულო ველი შევსებულია და ყველა კლასის სულ მცირე ერთ თემაში მაინც სწორადაა დაგეგმილი კომპლექსურიდავალებებით მუშაობა. იყო უმნიშვნელო ხარვეზები, თუმცა მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა , რომ კარგად იცნობენმესამე თაობის ესგ-ს და კარგად იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტი რას წარმოადგენს, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. თითოეულ მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის არსი, კურიკულუმის შექმნის პრინციპი . მათ აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებებისშერჩევა მოახდინეს ერთმანეთთან თანამშრომლობით, შერჩევისას გაითვალისწინეს და შემდგომშიც გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას და საჭიროებებს , ორიენტირება მოხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგებს განსაზღვრავენ საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კომპლექსური დავალებების შერჩევა და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრება მომავალი სასწავლო წლისთვის. აღვნიშნავ , რომ გასაუბრებისასმასწავლებლებმა აჩვენეს სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლოგეგმის შესაბამისად . საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულიპროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსური დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. კომპლექსური დავალების იდეები აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მეათე კლასში, საგან მოქალაქეობაში, მასწავლებლის მიერ განხორციელდა პროექტი: „გენდერული თანასწორობის პრობლემა“, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეებში აღნიშნული საკითხის მიმართ თვალსაწიერის გაფართოებას და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათგააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებსაქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - საშუალო საფეხურზე, მასწავლებლის მიერ შემუშავებული იქნა კურიკულუმის ჩარჩო, სადაც გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები, მოსწავლეთა მზაობები და ინტერესები. შუალედური მიზნები, შესაბამისსასწავლო შინაარსთან ერთად განისაზღვრება მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ-ს სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და მოსწავლის მოტივაციის ამაღლება დავალების შესასრულებლად.

ინდიკატორი **2.1.2.1**

2... საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას, მოსწავლის წინარე ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლას ახალი ცოდნის აღმოჩენამდე. შუალედური და გრძელვადიანი უნარების განვითარებით, მოსწავლეთა წინარე ცოდნათა გააქტიურებით, ახალი ცოდნის დაშენებითა და ამ ცოდნის ცხოვრებასთან ტრანსფერით, საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირდება ქართულ ენაში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, რაშიც ასევე გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული დავალებები. ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. ფაქტია, სკოლას გრძელვადიან მიზნებსა და ფუნქციურ–კომპონენტური უნარების გაკვეთილზე უზრუნველყოფის კარგი გამოცდილება აქვს.

მათთვის სწავლების მნიშვნელოვანი მიზანია ის, რომ მოსწავლეები შეაიარაღონ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოსაყენებელი ცოდნით. ყურადღებას ამახვილებენ ისეთ თემებზე, რომელიც შეიცავს განსხვავებულ ხედვებსა და მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებას და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, რაც შეძენილიცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას

მისცემს. ამ უნარების ჩამოყალიბება ხდება, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე მოსწავლეების საკლუბო, პროექტული მუშაობის დროსაც.

პროექტებით სწავლებაში, მოქალაქეობაში, გასულ სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით

„გენდერული თანასწორობა“. სამოქალაქო განათლების პედაგოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2023-2024 წელს პროექტს შეარჩევს მოსწავლეებთან ერთად, რითაც გაითვალისწინებს მათ ინტერესებს. დანართებში არ არის წარმოდგენილი მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმები არცერთ საგანში (მხოლოდ ისტორიაშის წარმოდგენილი მე-12 კლასის კურიკულუმი). პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული მე-11 კლასის სახელმძღვანელოების გრიფირება, რის გამოც სამუშაო ცოტა გაჭიანურდა. სასწავლო წლის დასაწყისში კი აუცილებლად მოამზადებენ საგნობრივ კურიკულუმებს გრიფირებული, შერჩეული სახელმძღვანელოების მიხედვით.

სკოლას მიეცა რჩევა: კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციოს აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვროს თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.

თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას. წარმატებით ხორციელდება სასკოლო პროექტი: “გარემო ჩემი სახლია”, რომლის განხორციელებაშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი **2.1.2.2** შესაბამისობაშია

3.. -კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, კომპლექსური დავალები,იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. საშუალო საფეხურზე სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, რაც მკაფიოდ იკითხებასამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომებს, ასეთ მოსწავლეებთან მუშაობაში აქტიურად არის ჩართული სპეციალური საჭიროების მასწავლებელი. სსსმ მოსწავლეებისათვის, საგნების მიხედვით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სწავლება ხორციელდება აღნიშნული გეგმების შესაბამისად. რის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში, სსსმ მოსწავლის შუალედური მონიტორინგის დოკუმენტი, ინდ გეგმის დანართიმოდიფიცირებული კომპლექსური დავალებით.

სკოლას **მიეცა რჩევა:** მოსწავლეებს შესთავაზოს მათზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

ინდიკატორი **2.1.2.3** შესაბამისობაშია

4. სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები,რაც საშუალო საფეხურზე ქართულში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც 2023=2024 სასწავლო წლის გეგმის პროექტში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით კათედრა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. სადიაგნოსტიკო შეფასებად პირველი ინსტრუმენტიაქვს შერჩეული, რითაც აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და

ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივეკატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. თუმცა სკოლას საშუალო საფეხურზე ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: ზეპირმეტყველების, მსჯელობის, ჩართულობის, ჯგუფურ მუშაობაში თვითშეფასების სქემა, ინფორმაციის მოძიების, დამოუკიდებელი მუშაობის, წერითი სამუშაოს , თვითშფასების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, დისკუსიის და სხვა. კათედრა გეგმავს შესწავლილი თემის შესაბამისად განმსაზღვრელი რუბრიკის შემუშავებას.

ინდიკატორი **2.1.2.4** შესაბამისობაშია

5. სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიცგათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა.სკოლა ამავდროულად გეგმავს, შემდგომში მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და გააზიაროს კურიკულუმის დანერგვისპროცესები, რათა უფრო ეფექტური გახდეს წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება, გათვალისწინებული და რეალიზებული იქნას კომპლექსური დავალების პირობისა და დაფარვის ეტაპებზე განსაზღვრულიაქტივობების გამოცდილება და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები დააფუძნოს ე.ს.გ.-ით გათვალისწინებულსაგნობრივ სტანდარტებს და ამ ყველაფერს მისცეს ციკლური ხასიათი. ამ მიმართულებით, სკოლას აქვს გამოცდილება, რომსაშუალო საფეხურის პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე პერიოდულად განიხილოს განხორციებული კომპლექსურიდავალების შედეგების ანალიზი, რომელიც კონსტრუქტივისტული პრინციპებით სწავლებას ნიშნავს, ასევე გულისხმობს მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას, რომელიც დაფუძნებულია წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მასზედ ახალი ცოდნის კონსტრუირებაზე. მასწავლებლები საუბრობენ ისაკუთარი პრაქტიკის გაზიარების, უკუკავშირის, რეფლექსიის, კოლეგების გამოცდილების გაზიარების კურუკულუმების, სასწავლო პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, თუსასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების შესრულების შესახებ. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია მათემატიკა-დაგეგმვის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინარე გამოცდილების ანალიზს. სკოლის თვითშეფასებაშიაღნიშნულია, ინტერვიუს დროსაც ხაზი გაესვა, რომ საშუალო საფეხურის პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზეთანამშრომლობით, პედაგოგიური საქმიანობის წლიურ ანგარიშების გაზიარებით, განხორციელებული აქტივობების და შესრულებული კომპლექსური დავალებების ანალიზებით, რეფლექსიებისა და უკუკავშირების გათვალისწინებით კათედრა აჯამებს წინა წლის გამოცდილებას და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით, მუშაობს ახალი კურიკულუმებისშექმნაზე.

ინდიკატორი **2.1.2.5** შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განხორციელებული პროექტის რეფლექსია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. .
- პროექტის იდეა მუსიკა და სახვით და გამოყენებით ხელოვნება.
- მოსწავლის ნამუშევრები

1. თვითშეფასების კითხვარი;

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;

3. შეფასების რუბრიკები - ზოგადი;

4. დანართი 143 - პროექტი მოქალაქეობა;

5. დანართი 141 - ისგ გეგმა;

6. მასწავლებლებთან ინტერვიუ;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებისასკოლო სასწავლო გეგმა
შეფასების რუბრიკა

X კლასის ბუნებისმეტყველების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) კურიკულუმები. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები(ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის);კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები (X);(ადგილზე)

შემაჯამებელი დავალების ანალიზი ბიოლოგიაში;

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული დაპირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საშუალო საფეხურზე სასწავლოპროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით. მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმები, სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი საკითხები თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები. მაგ, „გარემო ჩემი სახლია“, „დედაენა“, „სიკეთე გადამდებია“, ლიტერატურული საღამო“ ერთი დღე დოჩანაშვილთამ – ხელი არა , მაგრამ სული შევაწმინდე ლიტარატურას“,

კლუბის „სიხარული სულის ჯანმრთელობაა“ ფუნქციონირება – მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის წარმოსაჩენად. თუმცა სკოლის თვალთახედვით, სასწავლო პროცესში მოსწავლეების ავტონომიურობა დააქტიური შემოქმედებითი ჩართულობა, მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩარტულობას უზრუნველყოფს, რისთვისაც საგაკვეთილო პროცესში ისეთი ტიპის აქტივობების გამოყენების პრაქტიკაზე საუბრობენ, რაც მოსწავლის დამოუკიდებლობასდა არჩევანის გაკეთებას უწყობს ხელს. მით უფრო საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სასწავლო წლის დასასრულს აქვთ თავისუფალი ნების გამოხატვის საშუალება. წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა მხატვრული და ფოლკლორის წრეები, რომლებშიც მოსწაავლები აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ახორციელებდნენ. გამოცდილებაზე დაყრდნობით, სკოლა გეგმავს საგნობრივი წრეების განახლებას.

ინდიკატორი **2.2.1.1** შესაბამისობაშია

2.. საშუალო საფეხურზე სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ამ ყოველივეს უზრუნველსაყოფად სკოლას მიაჩნია, რომ რელევანტურია ისეთი აქტივობების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, როგორებიცაა: გონებრივი იერიში, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ხუთი თითისსქემა, მოლოდინების ღრუბელი, გმირის რუკა და სხვა, ამიტომ სასწავლო პროცესი უწყვეტია და კონსტრუირებული. მათი ხედვით, საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. სამომავლოდ კათედრა გეგმავს გააგრძელოს ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით და მომავალი წლის კურიკულუმში სასწავლო პროცესისა და პროდუქტის დიფერენცირებზე ორიენტირებული სტრატეგიების დანერგვა უზრუნველყოს, რაშიც ერთ–ერთ ინსტრუმენტად მეთოდური ლიტერატურის გაცნობა და კოლეგების გამოცდილების გაზიარება ესახებათ.

-.თვითშეფასების ნაწილში სკოლა აღნიშნავს, რომ სწავლება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მიმდინარეობს , სადაც მოსწავლე თვითონ აგებს ცოდნას. აღნიშნული დადასტურდა კიდეც ინტერვიუს დროს. მასწავლებლებმა ისაუბრეს მე-10 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება „დაეხმარე ანას“(სამომხმარებლო არითმეტიკა) შესახებ მასწავლებლებმა აღწერეს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები. სწორად გააკეთეს აქცენტი, თუ რა საკითხებისგახსენებით და რა მეთოდით განახორციელებდნენ წინარე ცოდნის გააქტიურებას. აღინიშნა, რომ ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა გონებრივი იერიში, შესასვლელი ბარათები, მარტივი „ქვიზი“, კითხვა-პასუხი. მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული მრავალფეროვანი დავალებების შესახებ და წარმოადგინეს დამატებითი დოკუმენტაციის სახით შესაბამისი მასალები.

წარმოდგენილ საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში თემები და საკითხები გაწერილია თანმიმდევრულად მარტივიდან რთულისკენ, თანდათან ღრმავდება და აძლევს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას.

ინდიკატორი **2.2.1.2** შესაბამისობაშია.

3.. წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები,

არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. შესაბამისი მიგნებები კათედრას სანიმუშოდ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასადა შეფასების რუბრიკებში აქვს წარმოდგენილი. სკოლა საუბრობს, კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მნიშვნელობაზე. მიაჩნია, რომ ახალ კურიკულუმშიმოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ანალიზის საფუძველზე სწავლის სწავლების ახალი თანმიმდევრული სტრატეგიების შემუშავება, რაც სასკოლო სივრცეში დემოკრატიული ღირებებულებების დამკვიდრებისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი წინაპირობა იქნება, სწავლის სწავლზე აქცენტების დასმას უზრუნველყოფს, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა.

ინდიკატორი **2.2.1.3** შესაბამისობაშია**.**

4. სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (<u>დეკლარატიული ცოდნა).</u> სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის <u>პროცედურულ ცოდნად</u> და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში <u>პირობისეულ ცოდნად</u> აყალიბებს.სკოლა მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებისათვის იყენებს სოლო ტაქსონომიას, ცდილობს ისე დაგეგმოს გაკვეთილები, რომ გაითვალისწინონ მაღალი და დაბალი დონის სააზროვნო კითხვები, სადაც დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული ცოდნებით იქნება გააქტიურებული. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას სკოლაასევე წარმოგვიდგენს არაფორმალური სწავლებისას, რაც ვიზიტისას დაადასტურა კათედრამ. პედაგოგები გეგმავენ, რომ სამომავლოდ შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რასაც საფუძვლად დაედება კომპლექსური დავალებებით სწავლება.

ინდიკატორი **2.2.1.4** შესაბამისობაშია

5... საშუალო საფეხურზე სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნების სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. სკოლა გეგმავს, კურიკულუმში გაითვალისწინოს და შეიმუშაოს ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც მოახდენს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. რისთვისაც გარდა კომპლექსური დავალებების განხორციელებისა, გეგმავს პროექტით სწავლებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერჩატარებული ლიტერატურული საღამო- ერთი დღე დოჩანაშვილთან ,,ხელი არა, მაგრამ სული შევაწმინდე

ლიტერატურას“ შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლის ხედვები აღნიშნული საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობებით რეალიზების შემთხვევაში მოახდენს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებულიკომპლექსური დავალებები, ინტერვიუს დროს ხაზგასმული თანამშრომლობა კათედრებს შორის ინტეგრირებულიგაკვეთილების, კომპლექსური დავალებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით გვაძლევსსაშუალებას აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი **2.2.1.5** შესაბამისობასია**.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განხორციელებული პროექტის რეფლექსია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. .
- პროექტის იდეა მუსიკა და სახვით და გამოყენებით ხელოვნება.
- მოსწავლის ნამუშევრები

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;

2. თვითშეფასების კითხვარი;

3. დანართი 147 - გაკვეთილის გეგმა რეფლექსიით;

4. ინტერვიუ პედაგოგებთან;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები

X კლასის ბუნებისმეტყველების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) კურიკულუმები;

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია; მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები; (ადგილზე)

განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები ;(ადგილზე)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს**.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივსაკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადოაღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კათედრის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაშიგაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტმაგალითები, რაც მოსწავლეს გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას. დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე მოეხმარებათ სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისიმკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის პედაგოგები კლასის ყველა მოსწავლეს დაეხმარებიან კომპლექსური დავალების შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში შეადგენენ მოდიფიცირებული დავალების პირობას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა მკაფიოდ იკითხება პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.

კათედრის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის მათემატიკის კურილულუმი მესამე თაობის ესგ-ს შესაბამისადაა შექმნილი. მე-10 კლასში, შუალედური მიზნის მიღწევის მიზნით, ჩაშენებულია წინა წელს უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალება: „დაეხმარე ანას“ ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მასწავლებლებმა აღწერეს საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალება და დეტალურად ისაუბრეს მათი გამოცდილების შესახებ, როგორ აკავშირებენ სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნებას, მკვიდრ წარმოდგენებს , საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს. მაგალითად, მათემატიკაში კომპლექსური დავალების განხორციელებისას უწევს რეალური სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნა, საჭირო ფორმულების გამოყენება, გამოთვლების შესრულება, მსჯელობა, ანალიზი და დასაბუთება, რაც სამივე სამიზნე ცნების მოდელირება, კანონზომიერება და ლოგიკა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში ეხმარება.

ინდიკატორი **2.2.2.1** შესაბამისობაშია

2. მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ- ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამისათვის სკოლას საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში აქვს სასარგებლო აქტივობები, რომლითაც განავითარებენ სოციალურ უნარებს (თანაგრძნობა, ემპათია, ტოლერანტობა). სკოლა საუბრობს მოსწავლეების სოციალურ პროექტებში ჩართულობაზე, სადამრიგებლო საათებზე, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობ სხვადასხვა ღონისძიებაზე. საშუალო საფეხურზე, სკოლაში უკვე მეხუთე წელია მეცხრე კლასის მოსწავლეებს შექმნილი აქვთ კლუბი „სიხარული სულის ჯანმრთელობაა“ , რომელიც საქველმოქმედო საქმეს ემსახურება. კერძოდ, სოფლისთემში არსებულ მოხუცთა დღის ცენტრში ცდილობენ მოხუცების გახარებას, მხატვრული აქტივობებით დაუვიწყარ დღეს ჩუქნიან მოხუცებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ემპათიის უნარების განვითარებას. კათედრა სამომავლოდ ხედავს საჭიროებას მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით სასკოლო საზოგადოება გააქტიურდეს.

ინდიკატორი **2.2.2.2** შესაბამისობაშია

3... შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. შეფასების ჰოლისტურობის მხარდასაჭერად სკოლას აქვს ისეთი აქტივობები და მეთოდები შერჩეული, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი დავალებების გათვალისწინებას, ვერბალურ თუ წერილობით კომენტარებს , შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისათვის გეგმავს გაითვალისწინოს, რომ

შეფასების სისტემა უფრო დასახვეწია და შესაქმნელია შეფასების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტურ უნარები.

ინდიკატორი **2.2.2.3.** შესაბამისობაშია

4. - სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმებში საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. წარმოდგენილია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრაზე მიაჩნიათ, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა დასანდოობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. და რომ რუბრიკების შემუშავებაში მოსწავლეთა ჩართულობა ზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას ხელს უწყობსმოსწავლეთა მიერ

ნამუშევრების ურთიერთშეფასება. სკოლა გამჭვირვალეობას უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით. მათ უნდა იცოდნენ რომელ კრიტერიუმში როგორ შეფასდებიან, ამით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა რეალურად შეაფასონ საკუთარი ცოდნა. სკოლის მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები ნათელი და გასაგებია, შეფასებები ასახავს მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონეს სათანადო მასალის ათვისებაში.

ინდიკატორი **2.2.2.4** შესაბამისობაში

5. სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების შემუშავებისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. კათედრებზე საუბრობენ, რომ სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და ამ მექანიზმების გამოყენების გამოცდილება. საშუალო საფეხურზე სკოლას ვერიფიკაციის მნიშვნელოვან მექანიზმად გაკვეთილზე დასწრება, დაკვირვება და შეფასების რუბრიკებით გამოყენება ესახება. ისინი მოსწავლეთა შედეგების შეფასებას მტკიცებულებითა და სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით ახდენენ. ასევე იყენებენ მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციებს, წერით ნამუშევრებს, პროექტების განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკებით შეფასებას. სასწავლო წლის მანძილზე სკოლაში ურთიერთთანამშრომლობისა და აზრთა გაზიარების მიზნით არაერთი გაკვეთილი ტარდება. სკოლაში დანერგილია ,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რის საფუძველზეც ითვალისწინებენ ეფექტურ უკუკავშირს. სწავლა-სწავლებისხარისხის გაუმჯობესებაზე დირექციასთან ერთად ფინქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი და სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული.

ინდიკატორი **2.2.2.5** შესაბამისობაშია

6 . სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს და გეგმავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას: პედაგოგიური საბჭოს ოქმებს, კათედრის ოქმებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მონაცემები და მტკიცებულებები სკოლაში კანონის შესაბამისი ვადებით ინახება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

.ინდიკატორი **2.2.2.6** შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

... პროექტის იდეა მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

რეფლექსია განხორციელებული პროექტის სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.მოსწავლის ნამუშევრები.
სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი

შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი.

1. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;

2. თვითშეფასების კითხვარი;

3. დანართი 4 - პედსაბჭოს ოქმი;

4. დანართი 108 - კათედრის ოქმი;

5. დანართი 124 - შეფასების რუბრიკები;

6. დანართი 14 - პედსაბჭოს ოქმი;

7. დანართი 151 -ვიზიტი;

8. ინტერვიუ პედაგოგებთან;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები

სასკოლო სასწავლო გეგმაშეფასების რუბრიკა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1... სკოლის მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებებზე დაფუძნებით გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი საათობრივი ბადე. საგნობრივი პროგრამების შინაარსი, რაც გათვლილია მოსწავლეთა პიროვნული ზრდისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ .სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ემსახურება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ხოლო მოსწავლეთა შეფასება ხდება როგორც განმსაზღვრელი , ასევე განმავითარებელი კომენტარით. საგნობრივ კათედრებს შექმნილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და იგი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და სპეც.მასწავლებლის რეკომენდაციით მასწავლებლებს აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს უქმნის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. მოსწავლეთა მცირერიცხოვნებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო, მაღალია თანამშრომლობითი კულტურა, მიმღებლობა და ღიაობა, ეს კი სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. საშუალო საფეხურზე განსაკუთრებით აქტიურია კომუნიკაცია მშობლებთან, მათთან საუბარი ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. აღნიშნული ასევე გამოიკვეთა პედაგოგებთან საუბარში სკოლაში ვიზიტისას. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შესაქმნელად სკოლა მოსწავლეთა პიროვნული თავისებურებებისა და საჭიროების გათვალისწინებით დიფერენცირებული სწავლების აქტიურად იყენებს, რისი განხორციელება ხდება მოსწავლეთა სასწავლო პროფილის, ინტერესებისა თუ მზაობის გათვალისწინებით, რათა შეიქმნას თითოეული მათგანისთვის განვითარების ოპტიმალური პირობები. დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეები იყოფა ჯგუფებად სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მაგალითად ,მზაობის, ინტერესების, სასწავლო პროფილის შესაბამისად. მასწავლებლები სპეციალურ მასწავლებლებთან ერთად ახდენენ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას, რაც შეიძლება შეეხოს პირობას, აქტივობებს, პროდუქტს ან თუნდაც გარემოს.

ინდიკატორი **2.2.3.1** შესაბამისობაშია

.2..სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

საშუალო საფეხურზე პედაგოგები საუბრობენ, რომგათვალისწინებულია ეფექტურად დაგეგმილი გაკვეთილები, კომპლექსური დავალებები, პროექტები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი სხვა ღონისძიებები, რომლებიც მოსწავლეთა დაახლოებას, თანამშრომლობას, პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. სკოლა კარგად აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და სკოლა ვალდებულია პროცესები წარმართოს მასზე ორიენტირებულად. მაგალითად: შესთავაზოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული კომპლექსური დავალებები, მისი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიოს თემები სადამრიგებლო საათის თუ საგაკვეთილო პროცესის ფარგლებში. კათედრაზე აქცენტებს სვამს დიფერენცირებული მიდგომების მეთოდოლოგიასა და, აუცილებლობის შემთხვევაში, რემედიაციის დანერგავზე. მაგალითისათვის მოიხმობს საკუთარ პრაქტიკას, როდესაც ერთ თემაზე მიცემული სხვადასხვა ტიპის დავალებებმა მოსწავლეს როგორ მისცა საშუალება აირჩია მისთვის საინტერესო და შესაძლებლობაზე მორგებული დავალება. ასე მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეთა ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, სადაც საშუალება ეძლევათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი სურვილები, ინტერესები, მასწავლებლები საჭიროების მიხედვით თავიანთ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას იყენებენ სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს: თანამშრომლობითი სწავლების ფორმას, ინტერაქტიული სწავლების მეთოდს, რომელიც ზრდის მოსწავლეთა

ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი **2.2.3.2** შესაბამისობაშია

3.. სახელმწიფო ენა - გამოიკვეთა, რომ სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. რაც გამოიხატა კათედრისმიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. იგი გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, რისი საუკეთესო პრაქტიკაა ასევე პროექტული სწავლება დაერთობლივად დაგეგმილ აქტივობებში ჩართულობაა.

თანამშრობლობის და კომუნიკაციის გამოცდილების დემონსტრირების გარკვეული გამოცდილებაარსებობს გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვის, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების მიმართულებით. სკოლის ყველამასწავლებელს აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. თითოეული მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეების მაღალი აკადემიური შედეგებისა და თვითრეგულირებადი დისციპლინისთვის. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი სკოლაში დამყარებულია კათედრების თანამშრომლობასა და ეფექტურ კომუნუიკაციაზე, დანერგილია ქმედითი დაურთიერთთანამშრომლობაზე, ურთიერთსწავლებაზე აგებული სასკოლო კულტურა. სკოლის ყველა მასწავლებელს აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. მშობლების მაღალი ჩართულობა დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხზე და მათ პიროვნულ განვითარებაზე. კათედრაზე ხდება გაკვეთილების დაგეგმვა. ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილზე დაკვირვება და რეფლექსია. პერიოდულად მასწავლებლები ესწრებიან პროფესიული განვითარების ტრენინგებს და მიღებულ ცოდნას და სიახლეებს მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს. სკოლაში არსებული გამოწვევების გადასაწყვეტად, ჩართულია სრულიად ის გუნდი, რომელსაც სასკოლო საზოგადოება წარმოადგენს. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი განსხვავებულად ხედავს და აფასებს ამ გამოწვევების გადაჭრის გზას. მათ შორის ასეთი თანამშრომლობა და გუნდურობა უზრუნველყოფს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული.

ინდიკატორი **2.2.3.3** შესაბამისობაშია.

4...სკოლაში გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. კათედრაზე მიაჩნიათ, რომ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, შექმნილია პოზიტიური გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. საშუალო საფეხურზე პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობაა. მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების იდეების, ღონისძიებების შერჩევა-დაგეგმვაში; სადამრიგებლო საათის თემატიკის შერჩევაში; ზრუნავენ ერთმანეთზე; პატივს სცემენ სხვების აზრს; შეუძლიათ კონფლიქტის მართვა. სკოლის რეალობაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასკოლო თუ საკლასოგარემო. სკოლაში გამართულია ინფრასტრუქტურა. მუშაობს უსაფრთხოების სისტემები, სკოლა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. პოზიტიური კლიმატის უზრუნველსაყოფად საშუალო საფეხურზე პრიორიტეტულია განათლების მაღალი ხარისხის მიღწევა, რის არგუმენტად სკოლას ყოველ წელს უმაღლესში ჩარიცხულ მოსწავლეთა მაჩვენებლებს ასახელებს. ასევე მოიპოვებენ გრანტებსაც.

მასწავლებლები ქმნიან გაკვეთილზე ისეთ გარემოს, რომელშიც მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია აზრის გამოთქმა და მის აზრს, შეხედულებას თუ პოზიციას პატივისცემით ეპყრობიან. მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა ხშირად ეწყობა სკოლის შენობის სხვადასხვა ნაწილში. სკოლაში დაცულია სისუფთავე და სანიტარული ნორმები. საშუალო საფეხურზე სკოლაში პოზიტიური გარემოს შესაქმნელად როგორც თვითმართველობა,

ასევე სასკოლო საზოგადოებისვ სხვა რგოლია ჩართული, რაც გამოიხატება მრავალფეროვან ღონისძიებებში. ეს ხორციელდება როგორც საგაკვეთილო, ისე არასაგაკვეთილო პროგრამით. ამ მიზანს ემსახურებოდა ქართული ენის მასწავლებლისაგან ჩატარებული ღონისძიება „ერთი დღე დოჩანაშვილთან", რომლის მიზანი იყო მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობა. შემოქმედებითი უნარების ინტელექტისა და ღიერბულებების ამაღლება. მასალები იხილეთ დანართში. სკოლაშიკეთილგანწყობილ და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური, სკოლის ექიმი, ახლადდასაქმებული სოციალური გუნდი, კლასის ხელმძღვანელები, რომლებიც შესვენების დროს თავის კლასთან ატარებენ.

ინდიკატორი **2.2.3.4** შესაბამისობაშია
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.. პროექტის იდეა მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

რეფლექსია განხორციელებული პროექტის სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.მოსწავლის ნამუშევრები.
სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა);

2. კათედრის შეხვედრის ოქმი;

3. დანართი 136 - ღონისძიებების რეფლექსიები;

4. დანართი 154 - სადამრიგებლო პროგრამა;

5. მასწავლებლებთან ინტერვიუ;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებისასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კურიკულუმს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად, იგი ფიქრობს, რომ კურიკულუმი არ არის ისეთი დოკუმენტი, რომელიც ერთხელ უნდა შეიქმნას და გამოიყენებოდეს მუდმივად უცვლელი სახით. კურიკულუმის შექმნა დანერგვა ციკლური პროცესია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს. სკოლა აცნობიერებს, რომ მონიტორინგი არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმია, რაც დირექტორის /ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის მიერ/ ხორციელდება. სკოლას შემუშავებულიაქვს გაკვეთილებზე დასწრების გრაფიკები, უკუკავშირები შესაბამისი რეფლექსიებით, ხორციელდება ფასილიტაცია.საშუალო საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. ჯგუფის წევრები მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. კათედრაზე საგნის მასწავლებლები ურთიერთდასწრების დროს უწევენ ერთმანეთს მონიტორინგს და აფასებენ გაკვეთილის ყველა აქტივობას.

ინდიკატორი **2.3.1.1** შესაბამისობაშია

2. სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას აქვს გამოცდილება მასწავლებელთა ურთიერთდასწრებისა და შესაბამისი უკუკავშირის მიწოდებისა. კათედრაზე საუბრობენ, რომ სამომავლოდ მონიტორინგმა და შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს ახალი გამოწვევებისათვის მზადებას და ახალი შესაძლებლობების დაგეგმვას. ამისათვის კი საჭირო იქნება მრავალფეროვანი და მოქნილი ინსტრუმენტების გამოყენება და შესაბამისი დოკუმენტების ხარისხიანად

მომზადება, რომელშიც მასწავლებელთა მიგნებების პარალელურად გავითვალისწინებული იქნება მოსწავლეებისა და მშობლების რეკომენდაციები და ყველა ცვლილება აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. სკოლას აქვს გამოცდილება, როდესაც კათედრის თავმჯდომარე უზრუნველყოფს დასწრების გრაფიკების შედგენას, ჩატარებული გაკვეთილებისა და განხორციელებული აქტივობების ეფექტიან უკუკავშირს, რაც თავის მხრივ წამოჭრილი სირთულეების დაძლევაზეა ორიენტირებული. ახალ სასკოლო კურიკულუმში სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების უფრო მოქნილი და დახვეწილი მექანიზმის შექმნას, ხარისხის ჯგუფის თანმიმდევრული მუშაობის უზრუნველყოფას, რომლის პრიორიტეტი თითოელი მასწავლებლის პროფესიული ზრდა-განვითარება იქნება.

ინდიკატორი **2.3.1.2** შესაბამისობაშია

3.- სკოლის მიერ განხორციელული სასწვლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლას აქვს პრაქტიკა პედაგოგები გაეცნონ შეფასება/მონიტორინგის შედეგებს, მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი საკუთარი და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ, ერთობლივი ძალებით გამოასწორონ აღმოჩენილი ხარვეზები. მონტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, საშუალო საფეხურზე შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში და ეს ყველაფერი საფუძველი გახდება განვითარებად სასკოლო ცხოვრებისა ჯანსაღ სასწავლო პროცესებში.

გამოიკვეთა, რომ კათედრებზე აქტიურად მუშაობენ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის, რასაც ადასტურებს მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები. ყველა კომპლექსური დავალება შესრულდა. ძლიერ მხარედ ჩაითვალა მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა, რადგან წარმოდგენილი იყო ყველა მოსწავლის შექმნილი პროდუქტი, სუსტ მხარედ გამოიკვეთა ის, რომ ნამუშევარი არ იყო მრავალფეროვანი, ეყრდნობოდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ მასალა და პროდუქტის ნიმუშს. სკოლაში მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავენ, მოსწავლეებს შეთავაზონ მრავალფეროვანი ნიმუშები და გამოუმუშაონ კვლევა-ძიების უნარები.

ინდიკატორი **2.3.1.3.** შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

... პროექტის იდეა მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

რეფლექსია განხორციელებული პროექტის სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.მოსწავლის ნამუშევრები.
სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი

1. თვითშეფასების კითხვარი;

2. დანართი 13 - ხარისხის განვითარებისა და მართვის ჯგუფი;

3. დანართი 34 - ურთიერთდასწრების განრიგი;

4. დანართი 147 - გაკვეთილის გეგმა რეფლექსიით;

5. დანართი 159 - უკუკავშირი;

6. დანართი 6 - ნომერი 12 დოკუმენტი საგნების მიხედვით;

7. ინტერვიუ მასწავლებლებთან;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებისასკოლო სასწავლო გეგმა სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1... წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას კათედრებზე აქვთ მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები, რაც ითვალისწინებს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა მეთოდებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მოსწავლისა და სასწავლო პროცესების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით. სკოლაში მასწავლებლები ძირითადად იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას და განმავითარელი შეფასების სხვადასხვა ფორმას. იციან როგორ გამოიყენონ შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემები სწავლისა და სწავლების გასაუმჯობესებლად. მიმდინარე კურიკულუმი ამ მიმართულებით ეყრდნობა როგორც მასწავლებელთა, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებების, ურთიერთშეფასებების სქემებს, განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების რეფლექსიებს, კათედრათა წლიური მუშაობის ანალიზებს. რადგან მოსწავლეები ეტაპობრივად იღებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა

წინსვლაზე, გამოკვეთს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. მშობლები ინდივიდუალურად ეცნობიან შვილების განმავითარებელ შეფასებას,

სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით თოთოეული კათედრა ერთობლივად დასახავს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს და ასახავს კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში.

ინდიკატორი **2.3.2.1**. შესაბამისობაშია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება იძლევა წარმოდგენას, რომ სკოლას აქვს გამოცდილება, გააანალიზოს, თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას; რამდენადაა პრაქტიკის სრულყოფის, სასკოლო კულტურის განვითარების, სკოლის დეცენტრალიზაციის საშუალება. მრავალი კონტექსტის გათვალისწინებისათვის სკოლაშიგამოყენებულია ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. განმავითარებელი შეფასებით კი თითოეული მოსწავლის სწავლის განვითარების დინამიკა დგინდება. ამ შეფასების ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლას და განვითარებას. სკოლის პრაქტიკაა, რომ განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესში, მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ დაადგინონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები. მასწავლებლები მოსწავლეებს აფასებენ სამი კომპონენტის მიხედვით 1) დამოუკიდებელი დავალება 2) საკლასო დავალება 3) შემაჯამებელი დავალება. საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელ შეფასებას ძირითადად იყენებენ მაშინ, როცა მოსწავლე ცოდნის და უნარების საწყის ეტაპზეა. შემაჯამებელი დავალების შეფასება კი რაიმე თემატური ერთეულის დასრულების შემდეგ ხდება. ზოგიერთ საგანში მასწავლებელს თვითონ აქვს შემუშავებული ინდივიდუალური შეფასების რუბრიკა. ასევე ხორციელდება სსსმ მოსწავლეთა ისგ-ს მიხედვით შეფასება. ახალ კურიკულუმშიდიფერენცირებული მიდგომების დამკვიდრებასთან ერთად იგეგმება შეფასების რუბრიკების მისადაგება სწავლების აღნიშნულ მეთოდთან. კლასებში აგრეთვე დანერგილია თანატოლების ურთიერთშეფასება.

ინდიკატორი **2.3.2.2.** შესაბამისობაშია

3. სახელმწიფო ენა - კურიკულუმის შეფასების პროცესში სკოლა გეგმავს გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი

მეთოდები. კერძოდ, კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილი/ დანერგილი გაკვეთილები და მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილებისანალიზი. ფიქრობს, რომ ამ მეთოდებით მიღებული ინფორმაცია გადამუშავდება, გამოვლინდება ცვლილებების საჭიროება და ერთობლივი გადაწყვეტილებით ასახავენ კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში.

ინდიკატორი **2.3.2.3** შესაბამისობაშია

4..მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთ ოლის თვალთახედვით შეფასების მიზანია მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, რათა ყველა ჩართულ მხარეს: მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს და დირექტორს ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა ტიპის დახმარება ან წახალისება სჭირდება მოსწავლეს, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, დადგინდეს სწავლა-სწავლების ტენდენციები, როგორც ცალკეული კლასის, ასევე ზოგადად, სკოლის დონეზე. სკოლას აქვს პრაქტიკა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებისა. დიფერენცირებული მიდგომების ელემენტების გამოყენება კი მათთვის საშუალებაა შეფასდეს მოსწავლეთა უნარები, დაისახოს მათი ჰოლისტური განვითარების გზა. ახალ კურიკულუმში იგეგმება ისეთი სტრატეგიების დანრეგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. მოსწავლის სწავლის შედეგების გაუმჯობესების კუთხით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მის ინფორმირებულობას და ჩართულობას. მომავალ სასწავლო წელს კათედრა გეგმავს, კიდევ უფრო გააუმჯობესონ მშობელთა ჩართულობის ხარისხი.

ინდიკატორი **2.3.2.4.** შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის ჩარჩო მუსიკა/ სახვითი და გამიყენებითი ხელოვნება საბაზო საფეხურიგანხორციელებული პროექტის რეფლექსია
ოსწავლის ნამუშევარი *(განხორციელებული პროექტი)*

1. თვითშეფასების კითხვარი;
2. ინტერვიუ მასწავლებლებთან;
3. დანართი 114 - კვლევა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებისასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასების რუბრიკა

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა დაშეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმირეს პროცესში და სასკოლო კურიკულუმისშემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გაუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე დაადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა გადაჭრა არსებითად გაუმჯობესებს სასწავლო პროცესს. სკოლის კურიკულუმის განვითარებისათვის კათედრა გეგმავს მონაწილე ყველა პირმა იზრუნოს კურიკულუმის განხორციელების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გზების ძიებაში მიღწეული გამოცდილების გაზიარებაზე. ამისათვის აწარმოებენ მონიტორინგს,, გააკეთებენ შესაბამის რეფლექსიებს, რის საფუძველზეც დაგროვდება გარკვეული გამოცდილება და რომელსაც გამოიყენებენ მომავალ სასწავლო წელს, როგორც სარეკომენდაციო პაკეტს.

ინდიკატორი **2.4.1.1.** შესაბამისობასია

2..სკოლა გეგმავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებული იყოს კურიკულუმის რევიზიის პროცესში.

მათი ხედვით, მიმდინარე კურიკულუმი ნაწილობრივ ეფუძნება წინარე გამოცდილებას და შექმნილია მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისას გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით.წლის მანძილზე მასწავლებლები კომპლექსური დავალებების დასრულებისას მოსწავლეების ნაშრომის შეფასებას ახდენდნენშეფასების სქემით - სოლო ტაქსონომიით და ამის შემდეგ გეგმავდნენ სამომავლო ნაბიჯებს. ფიქრობენ, რომ ახალკურიკულუმში მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიების დანერვის შემდეგ გაიზრდება წინარე გამოცდილების გაზიარების ხარისხი. განსაკუთრებით შეეცდებიან კურიკულუმის გამდიდრებას რესურსებით, კონტექსტ მაგალითებით.სკოლა საუბრობს მასზე, რომ საშუალო საფეხურზე განხორციელებულ ქართული ენისა და ლიტერაურის კურიკულუმის შედეგების ანალიზი და რევიზია იძლევა საშუალებას ახალი სასწავლო წლის კურუკულუმებში მოახდინონ კომპლექსურიდავალების მოდიფიცირება, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. ამით შექმნანშესაძლებლობა, რომ ყველა მოსწავლე ჩასწვდეს კომპლექსური დავალების არსს, გაიუმჯობესოს საპრეზენტაციო უნარები, მათმიერ შექმნილი პროდუქტი უფრო ესთეტიკური, შინაარსობრივად მრავალფეროვანი იყოს. ახალი სასწავლო წლის დაგეგმისასგავითვალისწინებთ რომ კომპლექსურმა დავალებებმა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას სკოლაშიმიმდინარე პროცესები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები იქნება ციკლური, რაც თანხვედრაში უნდა მოვიდეს სკოლისსტრატეგიული განვითარების შვიდწლიან სამოქმედო გეგმასთან. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია მათემატიკა-მათემატიკის მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ამის საფუძველზე ქმნიან ახალ საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის. ის კომპლექსური დავალებები,რომლებმაც დაინტერესება გამოიწვია მოსწავლეებში, გაიყვანა შედეგზე, კვლავ გათვალისწინებულია მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებში, თუმცა კათედრა გეგმავს მის გამდიდრებას რესურსებით, კონტექსტ მაგალითებით და მორგებასმოსწავლეთა საჭიროებასა და ინტერესებზე.

ინდიკატორი **2.4.1.2.** შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

... პროექტის იდეა მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებარეფლექსია განხორციელებული პროექტის მუსიკაში. მოსწავლის ნამუშევარი.
სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი

1. თვითშეფასების კითხვარი;

2. ინტერვიუ მასწავლებლებთან;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები;

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .



ს. ჩანანეშვილი

ხ. ჯიმშიაშვილი

ე. ...

ე. ...

ნ. ...

თ. ხუციშვილი

09.10. 2023 წელი
თარიღი